



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საზედამხედველო სტრატეგია

2026-2028

საზედამხედველო სტრატეგია

2026-2028

სარჩევი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართვა	3
საზედამხედველო სტრატეგიის ისტორიული კონტექსტი და ფორმირების საფუძვლები	5
ვის შეეხება საზედამხედველო სტრატეგია?	9
მისია	11
ხედვა	11
ორგანიზაციული ღირებულებები და პროფესიული კულტურა	12
საქმიანობის განხორციელების შესაძლო ბარიერები და რისკები	14
საზედამხედველო სტრატეგიის განახლება და ვადები	15
2026-2028 წლების საზედამხედველო პრიორიტეტები	16
საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და სტანდარტებთან დაახლოება	17
საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების მიზნით რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება	21
ფინანსური ინოვაციების განვითარება, კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა	25
ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება	29
მომავალზე ორიენტირებული ზედამხედველობის გაძლიერება და ინკლუზიურობის ზრდა	37
2025 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და სტრატეგიის შესრულების ანგარიში	40
გამოყენებული ტერმინები და აბრევიატურები	57



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიმართვა

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ საქართველოს ეროვნული ბანკის 2026-2028 წლების საზედამხებდევლო სტრატეგია - დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის რიგ საზედამხებდევლო პრიორიტეტებს და წარმოადგენს საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ერთგვარ გზამკვლევს.¹

გლობალური ეკონომიკური ტრანსფორმაციის, ტექნოლოგიური ცვლილებებისა და მდგრადი განვითარების ეპოქაში, საქართველოს ეროვნული ბანკის როლი, როგორც ფინანსური სტაბილურობის გარანტის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამის გათვალისწინებით, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეროვნული ბანკის ხედვისა და დაგეგმილი აქტივობების საჯაროობა, ისევე როგორც აღნიშნული გეგმების დასახვისას საფინანსო სექტორისა და დაინტერესებული პირების ჩართულობა და მათთან ღია კომუნიკაცია. პროგნოზირებადი და თანმიმდევრული საზედამხებდევლო პოლიტიკით, ჩვენ ვაყალიბებთ სანდო ფინანსურ სისტემას, რომელიც ხელს უწყობს, როგორც საფინანსო სექტორის განვითარებას, ისე ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობას.

საზედამხებდევლო სტრატეგიის მომზადებისას, საქართველოს ეროვნული ბანკი გაეცნო მიმდინარე საერთაშორისო ტენდენციებსა და სხვა ქვეყნების კოლეგა უწყებების სამოქმედო გეგმებს. გარდა ამისა, საქართველოს

1. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის საფინანსო სექტორი გულისხმობს საქართველოს ეროვნული ბანკის შემდეგ საზედამხებდევლო სუბიექტებს: კომერციულ ბანკს, მიკრობანკს, საბანკო ჯგუფს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, საკრედიტო კავშირს, ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, სესხის გამცემ სუბიექტს, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორს, საბროკერო კომპანიას (გარდა სადაზღვევო ბროკერისა), საფონდო ბირჟას, ცენტრალურ დეპოზიტარს, სპეციალიზებულ დეპოზიტარს, აქტივების მმართველ კომპანიას, ანგარიშვალდებულ საწარმოს, საინვესტიციო ფონდს და ავტორიზებულ სეკიურიტიზაციის სპეციალურ მიზნობრივ ერთეულს.

ეროვნული ბანკის 2026-2028 წლების საზედამხედველო პრიორიტეტების მიმართ საფინანსო სექტორისა და დაინტერესებული პირების მოსაზრებების, მოლოდინებისა და ზოგადად მიმდინარე გამოწვევებზე ხედვის გაზიარების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საჯარო კონსულტაციისათვის პირველ ეტაპზე [კითხვარი](#) გამოაქვეყნა, ხოლო შემდგომ 2026-2028 წლების საზედამხედველო სტრატეგიის სამუშაო ვერსია [განათავსა](#).

საერთაშორისო მდგომარეობის, არსებული საჭიროებებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2026-2028 წლებისთვის შემდეგი საზედამხედველო პრიორიტეტები განსაზღვრა:

- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და სტანდარტებთან დაახლოება;
- საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების მიზნით რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება;
- ფინანსური ინოვაციების განვითარება, კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება;
- მომავალზე ორიენტირებული ზედამხედველობის გაძლიერება და ინკლუზიურობის ზრდა.

აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო სტრატეგიას წელს ახალი მიმართულება ემატება. დოკუმენტი ტრადიციული ფორმატის გარდა, ერთ-ერთი პრიორიტეტის ფარგლებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობასაც მოიცავს..


საქართველოს ეროვნული ბანკი მომდევნო წლებშიც განაგრძობს მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარებას, საფინანსო სისტემის სტაბილურად და ეფექტიანად ფუნქციონირების ხელშეწყობას, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, სისტემური რისკის კონტროლსა და პოტენციური რისკების შემცირებას.

ამასთან, აღნიშნული სტრატეგია არ უნდა იქნეს განხილული იზოლირებულად, არამედ საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა შესაბამისი მიმართულებების სტრატეგიებთან, მანდატთან, მისიასა და ხედვასთან ერთად.

ნათია თურნავა

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

საზედამხედველო სტრატეგიის ისტორიული კონტექსტი და ფორმირების საფუძვლები



სამომავლო ღონისძიებებზე საფინანსო სექტორისთვის პროგნოზირებადობის ზრდასა და დაინტერესებული მხარეებისთვის საზედამხედველო პრიორიტეტებსა და გეგმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (შემდგომში - ეროვნული ბანკი) სამწლიანი საზედამხედველო სტრატეგიის დოკუმენტის გამოქვეყნების პრაქტიკა 2020 წლიდან დაიწყო.

საზედამხედველო სტრატეგია წარმოადგენს ეროვნული ბანკის საშუალოვადიან სტრატეგიულ ხედვას, რომელიც ეფუძნება პროაქტიულ, მომავალზე ორიენტირებულ და რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას. საზედამხედველო პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება საფინანსო სექტორის ძირითადი რისკებისა და გამოწვევების სისტემური შეფასების საფუძველზე.

საზედამხედველო პრიორიტეტების ფორმირებისას, ეროვნული ბანკი ეყრდნობა შემდეგ ფაქტორებს:

საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების ძირითადი მიმართულებები;²

საერთაშორისო პარტნიორებისგან მიღებული რეკომენდაციები³ და ნაკისრი ვალდებულებები,⁴ რაც ხელს უწყობს საუკეთესო სტანდარტებთან დაახლოებას;

პრაქტიკაში, მათ შორის, რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო ჩარჩოს - რისკების შეფასების საერთო პროგრამისა (GRAPE) და სტრეს-ტესტების ფარგლებში გამოვლენილი საჭიროებები და გამოწვევები;

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და ტენდენციების მუდმივი მონიტორინგი, ანალიზი და საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწა, მათ შორის, პრევენციული მექანიზმების კიდევ უფრო განვითარების მიზნით;

ინკლუზიურობა, საფინანსო სექტორისა და საზოგადოებისგან მიღებული ინიციატივების და უკუკავშირის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁵

საზედამხედველო სტრატეგიით გათვალისწინებული პრიორიტეტების ეფექტურად განსახორციელებლად, 2026-2028 წლებში ეროვნული ბანკი კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს, მათ შორის, შემდეგ მიმართულებებს:

2. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2022 წლის 4 ნოემბრის №23 განკარგულება "საფინანსო სექტორის საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის თაობაზე".

3. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ეროვნული ბანკისათვის მიცემული რეკომენდაციები ხელმისაწვდომია შესაბამისი ორგანიზაციების ვებგვერდებზე (IMF; Worldbank).

4. ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით და განზრახვის წერილით (Letter of Intent) განსაზღვრული ვალდებულებები.

5. აღნიშნული, მათ შორის, მოიაზრებს ეროვნული ბანკის მიერ, მანდატის ფარგლებში, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში, საფინანსო სექტორთან ან/და დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციების წარმართვის პროცესს, კონსულტაციების გამართვის სახელმძღვანელოს შესაბამისად.



ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა

ეროვნული ბანკის ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ ამოცანის შესასრულებლად ეროვნული ბანკი ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური რისკის კონტროლს, პოტენციური რისკების შემცირებას.

ამ მიზნით, მნიშვნელოვანია ისეთი საზედამხედველო გარემოს შენარჩუნება, სადაც საფინანსო სექტორს შესწევს უნარი, შეუფერხებლად მიაწოდოს მომსახურება ბაზრის მონაწილეებს როგორც სტაბილური განვითარების, ისე შესაძლო ეკონომიკური სტრესის პირობებში. ეროვნული ბანკი ფოკუსირებულია სისტემური რისკების მუდმივ მონიტორინგსა და პრუდენციული პოლიტიკის გატარებაზე, რაც ხელს უწყობს შოკების მიმართ სექტორის მდგრადობას. პარალელურად, როგორც მდგრადი საფინანსო სექტორით, ისე გამჭვირვალე პოლიტიკით, ეროვნული ბანკი ორიენტირებულია ინვესტორთა უფლებების დაცვასა და მათი ნდობის მოპოვებაზე.



ინოვაციების წახალისება და ციფრული ტრანსფორმაცია

ეროვნული ბანკი, როგორც პროგრესზე ორიენტირებული რეგულატორი, აქტიურად უჭერს მხარს ინკლუზიური და ინოვაციური ფინტექ ეკოსისტემის განვითარებასა და ფინანსური სერვისების გაციფრულებას. ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი გარემო, სადაც ტექნოლოგიური ინოვაციები ერთი მხრივ ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ თანხვედრაშია მომხმარებელთა საჭიროებებთან. საფინანსო სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის წახალისების პარალელურად, ვითარდება უშუალოდ ეროვნული ბანკის საზედამხედველო ტექნოლოგიებიც და ტექნიკური შესაძლებლობებიც.



რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობა

საფინანსო სექტორის მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია ეფექტური, რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის მოდელის არსებობა. ჩვენ მუდმივად ვხვებით მარეგულირებელ ჩარჩოს, საზედამხედველო მიდგომებსა და მონიტორინგის ინსტრუმენტებს, რათა დროულად მოვახდინოთ პოტენციური რისკების იდენტიფიცირება და პრევენცია.

ამ მიზნით, ეროვნული ბანკი ცალკეულ საზედამხედველო სუბიექტებთან მიმართებით უკვე იყენებს რისკზე დაფუძნებულ საზედამხედველო რეჟიმს⁶ და ამავდროულად გრძელდება მუშაობა ზედამხედველობას დაქვემდებარებული სხვა სუბიექტების ზედამხედველობის რეჟიმის რისკზე დაფუძნებულ პრინციპებზე პროპორციული გადაყვანის მიმართულებით. აღნიშნული პრინციპის ფარგლებში საზედამხედველო სუბიექტების ზედამხედველობა, მათ შორის, მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ რისკებზე მათი მატერიალურობის პროპორციულად ფოკუსირებას, რაც შესაძლებელს გახდის რესურსების ეფექტიან განაწილებას, აღნიშნულის ხარჯზე კი მომავალზე ორიენტირებული საზედამხედველო მიდგომის არსებობას.

6. ეროვნული ბანკი საბანკო ზედამხედველობასა და რეგულირებას რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის შემდეგი პრინციპების დაცვით წარმართავს: მატერიალურ რისკებზე კონცენტრირება, მომავალზე ორიენტირებული მიდგომა, დიალოგი რეგულირებად ფინანსურ ინსტიტუტებთან, მიკრო და მაკროპრუდენციული ზედამხედველობის კოორდინაცია, თანმიმდევრულობა, შესაბამისობა და თავსებადობა, შიდა რესურსების ეფექტიანი გამოყენება. რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპებზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.



მომხმარებელთა უფლებები და ფინანსური განათლება

ფინანსური განათლების დონის ამაღლება მომხმარებელთა უფლებების დაცვის წინაპირობაა. ეროვნული ბანკის მიზანია, ხელი შეუწყოს გათვითცნობიერებული და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებას, რათა თითოეულმა მომხმარებელმა შეძლოს საკუთარი უფლებების უკეთ იდენტიფიცირება და მათი ეფექტური დაცვა საფინანსო სექტორთან ურთიერთობისას.

ეროვნული ბანკისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მომხმარებელთა უფლებების დაცვა დამდგარ შედეგებთან მიმართებით, არამედ ქვეყანაში ფინანსური განათლების დონის ამაღლება, როგორც მაპრევენციო ეფექტი. ინფორმირებული მომხმარებელი ნიშნავს უფრო მდგრად და ჯანსაღ ფინანსურ სისტემას. მათ შორის, ამ მიზნით, [ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის](#) ფარგლებში შეიქმნა ფინანსური განათლების პლატფორმა.⁷ აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებას სათავეში უდგას ეროვნული ბანკი, თუმცა, მასში ჩართულია კერძო თუ საჯარო სექტორის არაერთი წარმომადგენელი, სასწავლო დაწესებულებები, საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.



საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და საერთაშორისო თანამშრომლობა

ეროვნული ბანკი ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობს მარეგულირებელი ჩარჩოსა და საზედამხედველო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე, რაც საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლების მიერ დადებითად ფასდება. აღნიშნულს მოწმობს სარეიტინგო კომპანიების ანგარიშებში მითითებული შეფასებები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საბანკო სისტემის პერსპექტივა უარყოფითიდან სტაბილურამდე გაუმჯობესდა.⁸ ასევე, განსაკუთრებით მაღალი შეფასება ეძლევა ინსტიტუციურ ჩარჩოს საქართველოში და ხაზგასმით აღინიშნება, რომ საბანკო სექტორის რეგულირება და ზედამხედველობა მოწინავეა რეგიონში.⁹ გარდა ამისა, ანგარიშებში ყურადღება ეთმობა გატარებულ სტრუქტურულ რეფორმებს, რომლის შედეგადაც საქართველოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა რეგიონის ქვეყნებთან შედარებით პრუდენციულია, რამაც ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას.¹⁰

ეროვნული ბანკი საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. გლობალური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და მსოფლიო ეკონომიკის გამოწვევების ზრდის ფონზე სხვადასხვა ქვეყნის კოლეგა უწყებებთან თანამშრომლობა ხელს უწყობს საგარეო

7. ფინედუ არის პირველი ქართული საგანმანათლებლო ვებ-პლატფორმა, რომელიც სრულად ფინანსურ განათლებას ეძღვნება და თავს უყრის ისეთ საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა პუბლიკაციები და ბლოგები, ბროშურები, სახელმძღვანელოები და სხვა მსგავსი საბეჭდი და დამხმარე მასალა, ვიდეო და აუდიო კონტენტი. დეტალური ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ ეწვიოთ [ფინედუს ვებგვერდს](#).

8. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-მა საქართველოს საბანკო სისტემის პერსპექტივა (Ba2) უარყოფითიდან სტაბილურამდე გაუმჯობესა. დეტალური ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ ეწვიოთ [ვებგვერდს](#).

9. S&P Global Ratings - საქართველოს საბანკო სექტორის რეგულირება და ზედამხედველობა მოწინავეა რეგიონში. დეტალური ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ ეწვიოთ [ვებგვერდს](#).

10. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო S&P Global Ratings-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი 'BB' დონეზე, ხოლო პერსპექტივა - "სტაბილურზე" შეინარჩუნა. დეტალური ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ ეწვიოთ [ვებგვერდს](#).

ეკონომიკური შოკებისა და სისტემური რისკების კოორდინირებულად მართვას და შესაბამისად, ფინანსურ სტაბილურობას.


ეროვნული ბანკის საერთაშორისო ასპარეზზე აქტიური ჩართულობა საქართველოს ფინანსური სისტემის მდგრადობისა და ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ინფორმაციის საერთაშორისო მასშტაბით გავრცელებას უწყობს ხელს, რაც ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.



ინსტიტუციური გაძლიერება

ძლიერი რეგულატორი ნიშნავს მდგრად და განვითარებულ საფინანსო სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი საკუთარი მაგალითით უკვე ამკვიდრებს მართვის მაღალ სტანდარტს, იგი მუდმივად იხვეწება და ვითარდება.

ციფრული ტრანსფორმაცია, მონაცემთა ანალიტიკაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები და გუნდის პროფესიული განვითარება ის ინსტრუმენტებია, რომლითაც ჩვენ ვპასუხობთ თანამედროვეობის გამოწვევებს. როგორც საფინანსო სექტორის, ისე ეროვნული ბანკის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ ნდობის გასამყარებლად, ეროვნული ბანკი მოქმედებს, როგორც პროპორციული და პროგნოზირებადი რეგულატორი.



ვის შეეხება საზედამხებელო სტრატეგია?

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, მიკრობანკების, საბანკო ჯგუფების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, საპენსიო ფონდის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, საინვესტიციო ფონდების, ავტორიზებული სეკურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეულების, საგადახდო სისტემის ოპერატორების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, სესხის გამცემი სუბიექტებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საქმიანობას.


ეროვნული ბანკის ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვა. ამ მიზნით, ეროვნული ბანკი სხვადასხვა გზით ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი გარემოს განვითარებასა და შესაძლო რისკების შემცირებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს საფინანსო სექტორის გამართულ ფუნქციონირებაზე და ქმნის საიმედო გარემოს ინვესტორებისთვის. აღნიშნული მიზნით, ეროვნული ბანკი იყენებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საზედამხებელო უფლებამოსილებებსა და შესაბამის ინსტრუმენტებს, ხოლო მარეგულირებელი ჩარჩო თანხვედრაშია, როგორც ეროვნულ კანონმდებლობასთან, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინამდებარე საზედამხებელო სტრატეგია არ ეხება ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ყველა სუბიექტს, არამედ მიემართება მხოლოდ შემდეგ საზედამხებელო სუბიექტებს: კომერციულ ბანკს, მიკრობანკს, საბანკო ჯგუფს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, საკრედიტო კავშირს, ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, სესხის გამცემ სუბიექტს, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორს, საბროკერო კომპანიას (გარდა სადაზღვევო ბროკერისა), საფონდო ბირჟას, ცენტრალურ დეპოზიტარს, სპეციალიზებულ დეპოზიტარს, აქტივების მმართველ კომპანიას, ანგარიშვალდებულ საწარმოს,¹¹ საინვესტიციო ფონდს და ავტორიზებული სეკურიტიზაციის სპეციალურ მიზნობრივ ერთეულს. აღნიშნული სუბიექტები საზედამხებელო სტრატეგიის მიზნებისთვის ერთობლივად იწოდებიან როგორც საფინანსო სექტორი/საფინანსო სექტორის წარმომადგენლები. ეროვნული ბანკის კონკრეტული საზედამხებელო სფეროებისა და სუბიექტებისთვის განკუთვნილი თემატური სტრატეგიები მოცემული დოკუმენტისგან დამოუკიდებლად მუშავდება, ხოლო უკვე გამოქვეყნებული სტრატეგიები ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ოფიციალურ [ვებგვერდზე](#).


საფინანსო სექტორის წარმომადგენელთა მრავალფეროვნება და მათი რაოდენობა მეტყველებს საფინანსო სექტორის დინამიკურობასა და ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე.

11. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ანგარიშვალდებული საწარმო არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საწარმო. ხოლო აღნიშნული პირველი პუნქტის მიხედვით, ანგარიშვალდებულ საწარმოდ მიიჩნევა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არის დაფუძნებული.


ცხრილი №1¹² - საბანკო სექტორის წარმომადგენლების რაოდენობა



ცხრილი №2¹³ - ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმომადგენლების რაოდენობა



ცხრილი №3¹⁴ - არასაბანკო დაწესებულებებისა და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს რაოდენობა



12. ცხრილი ასახავს საბანკო სექტორის წარმომადგენლების რაოდენობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სუბიექტების რაოდენობები ცვალებადია და პერიოდულად განახლებადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე (კომერციული ბანკები, მიკრობანკები).

13. ცხრილი ასახავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობას დაქვემდებარებული იმ სუბიექტების რაოდენობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებსაც მიემართება წინამდებარე საზედამხედველო სტრატეგია. ამასთან, აღნიშნული თარიღისთვის სეკურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეული არ იყო ავტორიზებული, შესაბამისად, ცხრილში არ არის მითითებული. სუბიექტების რაოდენობები ცვალებადია და პერიოდულად განახლებადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე (ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა).

14. ცხრილი ასახავს არასაბანკო დაწესებულებებისა და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს რაოდენობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სუბიექტების რაოდენობები ცვალებადია და პერიოდულად განახლებადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე (საქართველოში რეგისტრირებული არასაბანკო დაწესებულებები, საკრედიტო საინფორმაციო ბიურო).

მისია


ეროვნული ბანკის ფუნქციები და ამოცანები განსაზღვრულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

არსებული მანდატის ფარგლებში ეროვნული ბანკის მისიაა მდგრადი და ჯანსაღი საფინანსო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც ღიაა კვალიფიციური ინვესტორებისთვის, სადაც უზრუნველყოფილია კონკურენტუნარიანი გარემო და დაცულია მომხმარებელთა ინტერესები.

აღნიშნული მისიის ფარგლებში, ეროვნული ბანკი ორიენტირებულია ინკლუზიურობასა და გამჭვირვალობაზე, მუდმივად ზრუნავს მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარებაზე, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე.

ხედვა

მდგრადი განვითარებისა და ნდობის გარანტი



ორგანიზაციული ღირებულებები და პროფესიული კულტურა



ინსტიტუციური მდგრადობა და ობიექტურობა

ეროვნული ბანკის საქმიანობის ეფექტიანობა, მათ შორის, მის ინსტიტუციურ მდგრადობასა და მიუკერძოებლობას ეფუძნება. ორგანიზაციული ღირებულებები და პროფესიული კულტურა კი ინსტიტუციური მდგრადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ეროვნული ბანკის გუნდი დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, რომელებიც იზიარებენ ობიექტურობისა და პროპორციული მიდგომის მნიშვნელობას. გარდა ამისა, დროულობისა და პრევენციული მიდგომის უზრუნველსაყოფად, ეროვნული ბანკი რიგ სუბიექტებთან მიმართებით საზედამხედველო პროცესს წარმართავს რისკზე დაფუძნებული პრინციპით, რაც საზედამხედველო რესურსების ოპტიმალურ და ადეკვატურ გადანაწილებას უზრუნველყოფს სუბიექტების რისკების მატერიალურობის გათვალისწინებით, ხოლო სხვა სუბიექტებთან მიმართებით აღნიშნულ მიდგომებს ეტაპობრივად ნერგავს. ამასთან, ეროვნული ბანკისთვის პრიორიტეტულია კონფიდენციალურობის მაღალი სტანდარტების დაცვა და ინსტიტუციური რესურსების პასუხისმგებლიანი მართვა.



პროფესიონალთა გუნდი და განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვა

ეროვნული ბანკის გუნდი ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე. ჩვენთვის პროფესიული ზრდა უწყვეტი პროცესია, რაც გულისხმობს კომპეტენციის მუდმივ ამაღლებას, ინოვაციური მიდგომების ათვისებასა და საქმიანობის კეთილსინდისიერად, დათქმულ ვადებში შესრულებას. ჩვენი გუნდის თითოეული წევრი აცნობიერებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას, რაც საზედამხედველო პროცესის ყველა ეტაპზე ობიექტურობისა და საქმისადმი ერთგულების გარანტიაა.

ინსტიტუციური განვითარების პარალელურად, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რათა ჩვენმა გუნდმა ეფექტურად უპასუხოს საფინანსო სექტორის თანამედროვე გამოწვევებს და უზრუნველყოს საზედამხედველო გადანაცვტილებების მიღების მაღალი ხარისხი.



ინოვაციური ხედვა და გამბედაობა

ცვლილებები ჩვენთვის შესაძლებლობაა. პროგრესი კრეატიული მიდგომებითა და თანამედროვე მართვის მოდელების დანერგვით მიიღწევა. ჩვენი გუნდის მისწრაფება და გაბედული გადანაცვტილებები გვაძლევს ძალას, ვიყოთ საფინანსო სექტორის სანიმუშო ზედამხედველი. ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს საფინანსო სექტორში ინოვაციური პროდუქტების, პროცესების, ტექნოლოგიებისა და საზედამხედველო მიდგომების განვითარებას.



ბუნდურობა და ჯანსაღი სამუშაო გარემო

ჩვენი ძალა ერთიანობასა და იდეების მრავალფეროვნებაშია. ვქმნით ინკლუზიურ გარემოს, სადაც თითოეული წევრის ჩართულობა აღიარებულია, ხოლო კონსტრუქციული უკუკავშირი და ცოდნის გაზიარება წახალისებული. ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთის შრომას და ვინარჩუნებთ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ, უსაფრთხო და მამოტივირებელ სამუშაო გარემოს, რათა გუნდის თითოეულ წევრს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზების შესაძლებლობა ჰქონდეს. სწორედ ეს ერთიანი კორპორაციული კულტურა განაპირობებს ჩვენ ინსტიტუციურ მზაობას - ერთიანი ძალებით ვუპასუხოთ საფინანსო სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებს.



რეპუტაცია და საქმიანობის სტანდარტი

ეროვნული ბანკის თითოეული თანამშრომელი მონაწილეობას იღებს ორგანიზაციის რეპუტაციის შექმნაში. ჩვენი საქმიანობა ორიენტირებულია ეროვნული ბანკის მიმართ საზოგადოების, ინვესტორების და საერთაშორისო პარტნიორების ნდობის განმტკიცებაზე. ეფექტური კომუნიკაცია და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გადანაცვების მიღების პროცესის განუყოფელი ნაწილია. ეროვნული ბანკი ორიენტირებულია იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ზედამხედველი, რომელიც იმსახურებს საერთაშორისო აღიარებას და პროფესიულ ნდობას როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე.

საქმიანობის განხორციელების შესაძლო ბარიერები და რისკები



საფინანსო სექტორის დინამიური განვითარება და მზარდი ტექნოლოგიური პროგრესი მუდმივად წარმოშობს ახალ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს, რაც პროაქტიულ მიდგომას საჭიროებს. შესაბამისად, საზედამხედველო მანდატის ჯეროვანი შესრულების პარალელურად გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საჭიროებისამებრ, გადახედოს და შეცვალოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები, მათ შორის, მათი შესრულების ვადები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს საზედამხედველო სტრატეგიის შესაბამისობას საფინანსო სექტორის რეალურ საჭიროებებთან და საზედამხედველო რესურსების მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებას.

ამ ეტაპზე იდენტიფიცირებული ძირითადი გამოწვევები, რომლებიც გავლენას ახდენს საოპერაციო გარემოზე და შესაძლოა წარმოშვას საზედამხედველო სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების ცვლილებების საჭიროება, მათ შორის, მოიცავს შემდეგს:

- **ფინანსური გლობალიზაცია:** საზღვრებშორისი (cross-border) ფინანსური ინსტიტუტებისგან შემდგარი ჯგუფების რაოდენობის ზრდა ზედამხედველობის პროცესს უფრო კომპლექსურს ხდის და საჭიროებს სხვა ქვეყნების მარეგულირებლებთან ერთად კოორდინირებულ მიდგომებს, რათა სრულყოფილად იქნას გამოვლენილი და შეფასებული რისკები და მათი გადამდები ეფექტები.
- **გეოპოლიტიკური არასტაბილურობა და მაკროეკონომიკური შოკები:** რეგიონული კონფლიქტები და მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის ცვალებადობა მოითხოვს პოტენციური მაკროეკონომიკური შოკების შეფასებას და მათთან მიმართებით როგორც საფინანსო სისტემის, ისე საზედამხედველო ორგანოს მუდმივ მზაობას.
- **საფინანსო სექტორის მომხმარებელთა და ინვესტორთა ქცევის ცვლილება:** მომსახურების მისაღებად ტრადიციული ფინანსური სერვისების ჩანაცვლება ინოვაციური და საინვესტიციო პრიორიტეტების ტრანსფორმაცია საჭიროებს საზედამხედველო ჩარჩოს მუდმივ შესაბამისობას ბაზრის მონაწილეთა ახალ მოლოდინებსა და ქცევით მოდელებთან.
- **ახალი თაობის არაფინანსური და განვითარებადი რისკები:** პროცესების გაციფრულებით გამოწვეული არაფინანსური რისკები და ახალი, გაუთვალისწინებელი ან სწრაფად განვითარებადი საფრთხეები, რომელთა რაოდენობრივი შეფასება რთულია. განვითარებად რისკებს ახასიათებთ დაბალი პროგნოზირებადობა. ეს რისკები ხშირად ტექნოლოგიური პროგრესიდან, სოციალური ან გარემოს ცვლილებებიდან გამომდინარეობს და მათ სრულად წინასწარ შესაფასებლად და შესამცირებლად ისტორიული მონაცემები არასაკმარისია.
- **ტექნოლოგიური მდგრადობა და კიბერუსაფრთხოება:** ხელოვნური ინტელექტის (AI) და მეგამონაცემების (Big Data) გამოყენების ზრდა ინდუსტრიაში, რაც პარალელურად ზრდის კიბერშეტევების რისკს და მოითხოვს მაღალტექნოლოგიურ დაცვის მექანიზმებს.
- **ვირტუალური აქტივების ეკოსისტემა:** კრიპტო აქტივებისა და დეცენტრალიზებული ფინანსების (Decentralized Finance) სწრაფი განვითარება, რაც საჭიროებს მონიტორინგს და შესაბამის მარეგულირებელ ცვლილებებს.

გარდა ზემოაღნიშნული სისტემური ფაქტორებისა, საზედამხედველო სტრატეგიის ან მისი გარკვეული ნაწილის განხორციელებაზე შესაძლოა სხვა რისკებმაც მოახდინოს გავლენა, მათ შორის:

- **ფორსმაჟორული და გაუთვალისწინებელი გარემოებები:** კრიზისული მოვლენები, რომლებიც სცილდება სტანდარტულ პროგნოზირებას და მოითხოვს საზედამხედველო რესურსების მყისიერ მობილიზებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მიღმა.
- **ინფრასტრუქტურული და სისტემური ხარვეზები:** ეროვნული ბანკის შიდა ტექნოლოგიური შეფერხებები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მონაცემთა დამუშავების, სიღრმისეული ანალიზისა და ზედამხედველობის პროცესებს.
- **ინტელექტუალური კაპიტალის დეფიციტი:** შრომის ბაზარზე მაღალი კონკურენციის პირობებში საზედამხედველო ფუნქციების ჯეროვანი შესრულებისთვის აუცილებელი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსების ნაკლებობა.

საზედამხედველო სტრატეგიის განახლება და ვადები



საზედამხედველო მანდატის ეფექტიანად აღსრულებისა და სტრატეგიული მიზნების თანმიმდევრულად მიღწევის მიზნით, სტრატეგია წარმოადგენს დინამიკურ დოკუმენტს, რაც ეროვნული ბანკის მიერ მის ყოველწლიურ გადახედვასა და განახლებას მოიაზრებს. აღნიშნული მიდგომა ემსახურება სექტორისა და დაინტერესებული მხარეებისთვის კიდევ უფრო მაღალ გამჭვირვალობასა და განჭვრეტადობას, რაც უზრუნველყოფს სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებას. დოკუმენტის ყოველწლიური განახლების პროცესი ორიენტირებულია არა საზედამხედველო პრიორიტეტების ცვლილებაზე, არამედ მიმდინარე საოპერაციო გარემოსა და გამოკვეთილი რისკების ანალიზის საფუძველზე სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ცვლილებების ასახვასა და გასული წლის შესრულების ანგარიშის წარდგენაზე. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს:

- დაგეგმილი აქტივობების არსის გადახედვასა და საჭიროებისამებრ მათ კორექტირებას;
- აქტივობების შესრულების ვადების გადახედვას და საჭიროებისამებრ მათ კორექტირებას. ამ მხრივ, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ იმ აქტივობების შესრულების ვადების სრული სიზუსტით განსაზღვრა, რომლებიც გულისხმობს ან დამოკიდებულია საკანონმდებლო ცვლილებებზე ვერ ხერხდება ეროვნული ბანკის მიერ, რამდენადაც აღნიშნული არ არის მასზე დამოკიდებული;
- ახალი ინიციატივების ინტეგრირებას, არააქტუალური ამოცანების სამოქმედო გეგმიდან ამოღებას ან/და ჩანაცვლებას.

2026-2028 წლების საზედამხებელო პრიორიტეტები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქმედი მარეგულირებელი და საზედამხებელო ჩარჩო უკვე მნიშვნელოვნად შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა, ეროვნული ბანკი უწყვეტ რეჟიმში აკვირდება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და უზრუნველყოფს მარეგულირებელი მიდგომისა და შესაბამისად ბაზის მუდმივ განვითარებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის 2026-2028 წლების საზედამხებელო პრიორიტეტები შემდეგია:



საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და სტანდარტებთან დაახლოება

საერთაშორისო საზედამხედველო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა ეროვნული ბანკის საქმიანობის საყრდენს წარმოადგენს. აღნიშნული პრიორიტეტი მიზნად ისახავს ადგილობრივი საფინანსო სექტორის მდგრადობის ამაღლებასა და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას გლობალურ ბაზარზე. საუკეთესო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია და საერთაშორისო რეკომენდაციების იმპლემენტაცია უზრუნველყოფს გამჭვირვალე, სტაბილური და პროგნოზირებადი საზედამხედველო გარემოს ჩამოყალიბებას. საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების იმპლემენტაციის მიზნით, ეროვნული ბანკი განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნების მარეგულირებელ ორგანოებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გამოცდილების გაზიარებასა და საზედამხედველო საკითხებთან დაკავშირებით კოორდინაციას.


ეროვნული ბანკი თავისი საქმიანობის ფარგლებში შესაბამის მარეგულირებელ გადანაცვებებებთან მიმართებით ხელმძღვანელობს საერთაშორისო პრაქტიკითა და სტანდარტებით და ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით ახდენს მათ იმპლემენტაციას. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული თითოეული საზედამხედველო პრიორიტეტი, პირდაპირ კავშირშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და სტანდარტებთან დაახლოების მიზანთან და აღნიშნული პრიორიტეტის შემავსებელია, მიუხედავად იმისა, რომ საზედამხედველო პრიორიტეტები ცალკეულად ჩამოყალიბდა, მათი მნიშვნელობისა და ეფექტების გათვალისწინებით.

გარდა იმ აქტივობებისა, რაც სხვა საზედამხედველო პრიორიტეტების ფარგლებში იქნა თემატურად განსაზღვრული, აღნიშნული პრიორიტეტის შესრულების მიზნით ეროვნული ბანკი შემდეგ აქტივობებს განახორციელებს:

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების განხორციელება რიგი საკითხების საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოების, დაზუსტებისა და ცხადად ჩამოყალიბების მიზნით. საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე საკითხების შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ასახვა,¹⁵ რაც, სხვა მოსალოდნელი გამომდინარე ცვლილებების გარდა, მათ შორის, მოიცავს:
 - კომერციული ბანკის/მიკრობანკის ლიცენზირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დახვეწას;
 - კომერციული ბანკების/მიკრობანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების დახვეწას;
 - კომერციული ბანკების/მიკრობანკების მნიშვნელოვანი წილის შეძენასთან დაკავშირებული საკითხების დახვეწას;
 - კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიერ ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების შექმნის წესების დახვეწას;
 - კომერციული ბანკებისათვის უძრავი ქონების იჯარით გაცემის დამატებითი/განსხვავებული კრიტერიუმის განსაზღვრის შესახებ მარეგულირებელი მოთხოვნების განახლებას, ხოლო მიკრობანკებისთვის აღნიშნული მოთხოვნების დადგენას.
- კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის სტანდარტების მუდმივი მონიტორინგი და დახვეწა;


15. ეროვნული ბანკის მიერ ვერ ხერხდება იმ აქტივობების შესრულების ვადების ზუსტად განსაზღვრა, რომლებიც გულისხმობს ან დამოკიდებულია საკანონმდებლო ცვლილებებზე.

- ძირითად პირველად კაპიტალში ჩასართავი გაუნაწილებელი მოგებიდან დაქვითვადი განჭვრეტადი დივიდენდებისა და ხარჯების (foreseeable dividends and charges) განმარტება და შეფასების მეთოდოლოგია. ამასთან, განიმარტება ძირითად პირველად კაპიტალში წლიური და შუალედური მოგების ჩართვის პრინციპი;
- მაქსიმალური გასანაწილებელი ელემენტების (Maximum Distributable Amount - MDA) ცნებისა და დათვლის მეთოდის შემოღება, რაც, მათ შორის, გულისხმობს კომბინირებული ბუფერის დარღვევის შემთხვევაში MDA-ზე მაღალი მოცულობით კონკრეტული გადახდების განხორციელების შეზღუდვას;
- საკრედიტო რისკის შეწონვის სტანდარტიზებული მიდგომის განახლება რისკის პოზიციების ბაზელ III-ის სტანდარტებისა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- საბანკო ჯგუფის კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოს შემუშავება და დანერგვა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, მათ შორის, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტისა და ევროკავშირის სტანდარტების და მიდგომების გათვალისწინებით.
- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებული ჩარჩოს დახვეწა, რაც, მათ შორის, მოიცავს:
 - კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესების ცვლილებას;
 - [აუდიტორულ ფირმებსა და ეროვნულ ბანკს შორის ეფექტური კომუნიკაციის სახელმძღვანელოს](#) განახლებას.
- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების საანგარიშგებო ჩარჩოს განვითარება საერთაშორისო ფინანსურ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის მხრივ, რაც, მათ შორის, მოიცავს IFRS სტანდარტების ან/და ევროპის ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს (FINREP) ცვლილებების შემთხვევებში მათთან შესაბამისობას.
- ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოსა და კომერციული ბანკის მიერ შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენისა და შეთანხმების წესის განახლება საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების, მათ შორის, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის 910/2014 რეგულაციის (ელექტრონული იდენტიფიკაციის, შიდა ბაზარზე ელექტრონულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სანდო მომსახურებებისა და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ (eIDAS)); მისი შემდგომი განახლებები (Regulation (EU) 2024/1183 of the European Parliament and of the Council of 11 April 2024 amending Regulation (EU) No 910/2014 as regards establishing the European Digital Identity Framework) და European Telecommunications Standards Institute (ETSI) სტანდარტების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნული სახელმძღვანელოსა და წესის მიკრობანკებზე გავრცელება.
- კომერციული ბანკებისთვის ადრეული ინტერვენციისა და საბანკო ლიცენზიის გაუქმებისათვის საჭირო პროცესის ამსახველი ჩარჩოს დახვეწა.
- კომერციული ბანკებისთვის დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) მარეგულირებელი ჩარჩოს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 15 მაისის 2014/59/EU დირექტივასთან (ბანკის გაჯანსაღებისა და რეზოლუციის დირექტივა (BRRD)) დაახლოების კუთხით დამატებითი ანალიზის ჩატარება და საჭიროებისამებრ განახლებული მოთხოვნების განსაზღვრა.
- რეზოლუციის გეგმების მომზადების/განახლების ყოველწლიურ ციკლში კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვის მიმართულებით კომერციული ბანკების ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.
- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პრაქტიკისა და სტანდარტების მოკვლევა და საჭიროებისამებრ შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება/დახვეწა. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს:



- საკრედიტო რისკით შეწონვის მიდგომის შემუშავებას;
- კომერციული ბანკების და მიკრობანკების ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულებების საჭიროებისამებრ დახვეწას;
- კომერციული ბანკებისთვის და მიკრობანკებისთვის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის შესახებ დებულებების საჭიროებისამებრ დახვეწას;
- საპროცენტო განაკვეთის რისკის, საბაზრო რისკის, კონტრაჰენტის საკრედიტო რისკის ჭრილში საჭიროებისამებრ კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწას.
- საფინანსო სექტორში არსებული გამოწვევებისა და პრაქტიკული საჭიროებების გათვალისწინებით, არასაბანკო დაწესებულებების მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება, რაც, მათ შორის, მოიცავს:
 - მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დახვეწას;
 - მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებას და გადახდისუუნარობის/გაკოტრების სპეციალური კანონმდებლობის შემუშავებას;¹⁶
 - ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დახვეწას, ეროვნულ ბანკში წარსადგენი ანგარიშგებების (ფორმების) ცვლილებების ჩათვლით;
 - ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და მათი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის ცვლილებას;
 - სესხის გამცემი სუბიექტის ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის განახლებას;
 - სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის ცვლილებას.
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების მუდმივი ანალიზი საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისთვის დადგენილი ჩარჩოს განვითარების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას თითოეული საზედამხედველო სუბიექტის საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა მოწინავე პრაქტიკის გათვალისწინებით.

16. ეროვნული ბანკის მიერ ვერ ხერხდება იმ აქტივობების შესრულების ვადების ზუსტად განსაზღვრა, რომლებიც გულისხმობს ან დამოკიდებულია საკანონმდებლო ცვლილებებზე.



01.01.2026

პრიორიტეტი	აქტივობა	სამოქმედო გეგმა					
		2026		2027		2028	
		HY1	HY2	HY1	HY2	HY1	HY2
საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და სტანდარტებთან დაახლოება	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების განხორციელება						
	კომერციული ბანკების ძირითად პირველად კაპიტალში ჩასართავი გაუნაწილებელი მოგებიდან დაქვითვადი განჭვრეტადი დივიდენდებისა და ხარჯების განმარტება და შეფასების მეთოდოლოგია						
	კომერციული ბანკების მაქსიმალური გასანაწილებელი ელემენტების ცნებისა და დათვლის მეთოდის შემოღება						
	კომერციული ბანკების საკრედიტო რისკის შეწონვის სტანდარტიზებული მიდგომის განახლება						
	საბანკო ჯგუფის კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოს შემუშავება და დანერგვა						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებული ჩარჩოს დახვეწა						
	ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოსა და კომერციული ბანკის მიერ შექმნილი ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების უსაფრთხოების პოლიტიკის საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენისა და შეთანხმების წესის განახლება და მიკრობანკებზე გავრცელება						
	კომერციული ბანკებისთვის ადრეული ინტერვენციისა და საბანკო ლიცენზიის გაუქმებისათვის საჭირო პროცესის ამსახველი ჩარჩოს დახვეწა						
	MREL-ის მარეგულირებელი ჩარჩოს BRRD-ისთან დაახლოების კუთხით დამატებითი ანალიზის ჩატარება და საჭიროებისამებრ განახლებული მოთხოვნების განსაზღვრა						
	რეზოლუციის გეგმების მომზადების/განახლების ყოველწლიურ ციკლში კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვის მიმართულებით კომერციული ბანკების ჩართულობის გაზრდა						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების განვასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა და საჭიროებისამებრ შესაბამისი ჩარჩოს შემუშავება/დახვეწა						
	მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დახვეწა						
	მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება და გადახდისუნარიანობის/გაპროტრების სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება						
	ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დახვეწა						
	ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და მათი ადმინისტრაციების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის ცვლილება						
	სესხის გამცემი სუბიექტის ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის განახლება						
	სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის ცვლილება						


საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების მიზნით რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება

თანამედროვე საფინანსო სექტორის სტაბილურობა და მისი მდგრადობა პოტენციური რისკების მიმართ პირდაპირაა დამოკიდებული საზედამხედველო ჩარჩოს დინამიკურ განვითარებაზე. კომპლექსური რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის მექანიზმების მუდმივი სრულყოფა საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების ანალიზს და მათ შესაბამისად არსებული მარეგულირებელი ჩარჩოსა და მიდგომების მუდმივ განვითარებას საჭიროებს. შესაბამისად, აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები წარმოადგენს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების სიღრმისეული კვლევისა და ანალიზის შედეგს.

ციფრული ტრანსფორმაციისა და მზარდი კიბერსაფრთხოების ეპოქაში, კიდევ უფრო პრიორიტეტულია საოპერაციო მდგრადობის გაძლიერება, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების სტანდარტების დახვეწა და ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფა მთელ საფინანსო სექტორში, რისთვისაც უმნიშვნელოვანესია ეროვნული ბანკის, როგორც ზედამხედველის როლი, ასევე, თავად საფინანსო სექტორის წარმომადგენლების შესაბამისი მზაობა. ამასთანავე, გლობალური გამოწვევებისა და მათი თანმდევი რეალიზებული თუ პოტენციური რისკების ფონზე, მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური და საკრედიტო რისკების მართვის ინსტრუმენტების მოდერნიზაცია, კორპორაციული მართვის კიდევ უფრო მაღალი სტანდარტების დამკვიდრება და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების დახვეწა. აღნიშნული კომპლექსური მიდგომა მიზნად ისახავს საფინანსო სექტორის მდგრადობის ამაღლებას შოკების მიმართ და ფინანსური სისტემის გამჭვირვალე და უსაფრთხო ფუნქციონირების ხელშეწყობას. ამ პრიორიტეტის შესრულებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობების განხორციელებით ისახავს მიზნად:

- შესაბამისი საზედამხედველო სუბიექტებისთვის კიბერუსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დახვეწა და მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერება, რაც, მათ შორის, გულისხმობს ციფრული და საოპერაციო მდგრადობის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) რისკების ეფექტიან კონტროლს, კიბერუსაფრთხოებისა და ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველყოფას. აღნიშნული მოიცავს:
 - კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს განახლებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მოწინავე პრაქტიკა, ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) თანამშრომლობით მიღებული რეკომენდაციები;
 - კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებში ტექნოლოგიური რისკების, მათ შორის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობის ზედამხედველობის გაძლიერებას;
 - კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის კიბერუსაფრთხოების მართვის მარეგულირებელი მოთხოვნების განახლებას, ხოლო საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის აღნიშნული მოთხოვნების დადგენას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც ევროკავშირში მოქმედი კანონმდებლობისა და აღიარებული დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნები, ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) თანამშრომლობით, [ტექნიკური მისიის ფარგლებში](#) მიღებული რეკომენდაციები;
 - კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის რისკების მონაცემთა ეფექტური აგრეგაციისა და რისკების ანგარიშგების წესის შემუშავებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის [„რისკების მონაცემთა ეფექტური აგრეგაციისა და რისკების ანგარიშგების პრინციპები“](#), ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) თანამშრომლობით მიღებული რეკომენდაციები;

- საოპერაციო რისკის მოვლენების შესახებ ინფორმაციის გაცვლის წესის განახლებას საოპერაციო რისკის მოვლენების და კიბერუსაფრთხოების ინციდენტების შესახებ ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების გზით, რომელიც დაგეგმილია გავრცელდეს კომერციული ბანკზე, მიკრობანკსა და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროზე. განახლებული ჩარჩოთი, მათ შორის, დგინდება საოპერაციო რისკის მოვლენებისა და კიბერუსაფრთხოების ინციდენტების ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების განახლებული ვადები. ამასთან, ზუსტდება კიბერუსაფრთხოების ინციდენტების კლასიფიკაციის წესი და შესაბამისი კრიტერიუმები;
- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის კიბერუსაფრთხოების ტესტირებების ჩარჩოს შემუშავებას, რაც, მათ შორის, გულისხმობს კიბერსაფრთხოებასა და პერიოდულ ტესტირებებს;
- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის კვანტური გამოთვლებიდან მომდინარე კიბერუსაფრთხოების რისკების მართვის მიზნით გზამკვლევი დოკუმენტის შემუშავებას, რომელშიც, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება დაშიფრული მონაცემების გაშიფვრის რისკების აღმოფხვრის მექანიზმები და კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხები;
- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის საოპერაციო რისკების სტრეს-ტესტების მოთხოვნების დამატებით კვლევას და განსაზღვრას, მათ შორის, ბიზნეს უწყვეტობის მართვის ნაწილში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა სცენარული ანალიზის მიდგომები, რეალურ შემთხვევებთან მიახლოებული და რისკზე ორიენტირებული კრიტიკული სცენარები;
- კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებში ბიზნეს უწყვეტობისა და საოპერაციო მდგრადობის ზედამხედველობის გაძლიერებას, რაც, მათ შორის, გულისხმობს შესაბამის პერიოდში კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიერ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად არსებული მექანიზმების პრიორიტეტულ შეფასებას;
- საზედამხებდებლო სუბიექტების მიერ ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებიდან მომდინარე კიბერუსაფრთხოების რისკების მართვის მიზნით საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს, საუკეთესო მიდგომების გამოვლენას და შესაბამისი გზამკვლევი დოკუმენტის შემუშავებას;
- კიბერუსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებით მარეგულირებელი მოთხოვნების გავრცელებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე და საჭიროებისამებრ სხვა რეგულირებად სუბიექტებზე, კომპლექსურობის მხედველობაში მიღებით.
- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ფინანსური რისკების მართვის პრაქტიკის დახვეწა და გაძლიერება, რაც, მათ შორის, მოიცავს:
 - საბანკო წიგნის საკრედიტო სპრედის რისკის მართვისა და მონიტორინგის დებულების შემუშავებას და დანერგვას;
 - ფასდადების მოდელების მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციების დახვეწას, მათ შორის, მოდელების სწორად აგებასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრას;
 - ლიკვიდობის სტრეს-ტესტების დოკუმენტის შემუშავებას და დანერგვას;
 - ლიკვიდობის რისკის მართვის ერთიანი სახელმძღვანელოს შექმნას;
 - საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის მოდელის ინსტრუქციის დახვეწაზე მუშაობას.
- საკრედიტო რისკების მართვის პრაქტიკის დახვეწა და გაძლიერება, რაც, მათ შორის, მოიცავს:
 - კომერციული ბანკის მიერ უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიის დაფინანსებისა და დაუსრულებელი/მშენებარე უძრავი ქონების შესაძენად იპოთეკური სესხის გაცემის წესის შემუშავებას;
 - ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დახვეწას, პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ქვეყნის მახასიათებლების გათვალისწინებით;
 - სტრეს-ტესტების მეთოდური სახელმძღვანელოს და შესაბამისი ავტომატიზებული ფორმების დახვეწას, მიმდინარე გამოწვევებისა და წარსული გამოცდილების, მათ შორის, კომერციუ-



ლი ბანკების 2025 წლის სტრეს-ტესტების რაუნდის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაიდენტიფიცირებული საკითხების, გათვალისწინებით;

- 2027 წლის საზედამხებდელი სტრეს-ტესტების რაუნდისთვის მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვას, ჩატარებას და შედეგების ანალიზს;
- კომერციული ბანკების და მიკრობანკების ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესების დახვეწას, პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.
- კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებში ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მართვის მიზნით, სტანდარტების დახვეწა, რაც, მათ შორის, მოიცავს:
 - მატერიალური რისკის ამღებ პირთა იდენტიფიცირების ინსტრუქციის განახლებას და დამტკიცებას;
 - სამეთვალყურეო საბჭოს შეფასების ინსტრუქციის შემუშავებასა და დამტკიცებას;
 - ანაზღაურების სახელმძღვანელოს განახლებას;
 - ანაზღაურების ანგარიშების ფორმის განახლებასა და დამტკიცებას.
- ESC ჩარჩოს განვითარება. ეროვნულ ბანკს შემუშავებული აქვს [მდგრადი დაფინანსების მეორე გზამკვლევი საქართველოსთვის](#).¹⁷ რომელიც აერთიანებს ყველა იმ შესაძლო ღონისძიებას, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით 2025-2028 წლების განმავლობაში და მიზნად ისახავს სანდო, პროგნოზირებადი მარეგულირებელი გარემოს შექმნას. ESC ჩარჩოს განვითარება, მათ შორის, მოიცავს:
 - მდგრადი დაფინანსების (მწვანე და სოციალური) ტაქსონომიის/მარეგულირებელი ჩარჩოს გადახედვას და განახლებას;
 - მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მონაცემთა დაფის შექმნას;
 - კლიმატის სტრეს-ტესტის ჩარჩოს შემდგომ განვითარებას;
 - [ESC საკითხების სახელმძღვანელო](#)ს გადახედვას და განახლებას;
 - რისკებზე დაფუძნებული საზედამხებდელი ჩარჩოს - რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული რისკების შეფასებასა და ანალიზში ESC საკითხების კიდევ უფრო ნათლად ინტეგრირებას;
 - ESC საკითხების ანგარიშებისა და გამულავნების ფორმის განახლებას.
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის გაძლიერება, რაც, მათ შორის, მოიცავს ეროვნული ბანკის ზედამხებდელობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიერ AML/CFT მექანიზმების დაცვის ზედამხებდელობის პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებას, ინსპექტირების ინტენსიურობისა და შესაბამისი რესურსების ზრდას, ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში, ოპერატიულ და თანმიმდევრულ მოქმედებას მათ აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით, ეროვნული ბანკი მუდმივად ავითარებს მონაცემებზე დაფუძნებულ ზედამხებდელობას და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მაღალი რისკის სფეროებზე. ასევე, ეროვნული ბანკი ხელს უწყობს დიალოგს საჯარო და კერძო სექტორის ყველა იმ მონაწილეს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთისთვის ბრძოლაში.

17. მდგრადი დაფინანსების მეორე გზამკვლევი 2025 წელს გამოქვეყნდა და ის აერთიანებს ყველა იმ შესაძლო ღონისძიებას, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით მომდევნო სამოთხი წლის განმავლობაში. გზამკვლევის მთავარი მიზანია შექმნას სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩო, რომელიც მოამზადებს ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის. თანმიმდევრული და თავსებადი ღონისძიებების გატარებით და ადაპტაციისთვის საჭირო დროის მიცემით, გზამკვლევი ხელს უწყობს გადანაცვლების მიღების პროცესში მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინებას.


პრიორიტეტი	აქტივობა	სამოქმედო გეგმა					
		2026		2027		2028	
		HY1	HY2	HY1	HY2	HY1	HY2
საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების მიზნით მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს განახლება						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებში ტექნოლოგიური რისკების, მათ შორის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობის ზედამხედველობის გაძლიერება						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის კიბერუსაფრთხოების მართვის მარეგულირებელი მოთხოვნების განახლება, ხოლო საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის აღნიშნული მოთხოვნების დადგენა						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის რისკების მონაცემთა ეფექტური აგრეგაციისა და რისკების ანგარიშგების წესის შემუშავება						
	საოპერაციო რისკის მოვლენების და კიბერუსაფრთხოების ინციდენტების შესახებ ინფორმაციის გაცვლის განახლებული წესის დამტკიცება						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის კიბერუსაფრთხოების ტესტირებების ჩარჩოს შემუშავება						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის კვანტური გამოთვლებიდან მომდინარე კიბერუსაფრთხოების რისკების მართვის მიზნით გზამკვლევი დოკუმენტის შემუშავება						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის საოპერაციო რისკების სტრეს-ტესტების მოთხოვნების დამატებითი კვლევა და განსაზღვრა						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებში ბიზნეს უწყვეტობისა და საოპერაციო მდგრადობის ზედამხედველობის გაძლიერება						
	საზედამხედველო სუბიექტების მიერ ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებიდან მომდინარე კიბერუსაფრთხოების რისკების მართვის მიზნით საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი, საუკეთესო მიდგომების გამოვლენა და შესაბამისი გზამკვლევი დოკუმენტის შემუშავება						
	კიბერუსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებით მარეგულირებელი მოთხოვნების გავრცელება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე და საჭიროებისამებრ სხვა რეგულირებად სუბიექტებზე						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების საბანკო წიგნის საკრედიტო სპრედის რისკის მართვისა და მონიტორინგის დებულების შემუშავება და დანერგვა						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ფასდადების მოდელების მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციების დახვეწა						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ლიკვიდობის სტრეს-ტესტების დოკუმენტის შემუშავება და დანერგვა						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ლიკვიდობის რისკის მართვის ერთიანი სახელმძღვანელოს შექმნა						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის მოდელის ინსტრუქციის დახვეწაზე მუშაობა						
	კომერციული ბანკის მიერ უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიის დაფინანსებისა და დაუსრულებელი/შენებაზე უძრავი ქონების შესაძენად იპოთეკური სესხის გაცემის წესის შემუშავება						
	ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დახვეწა						
	სტრეს-ტესტების მეთოდური სახელმძღვანელოს და შესაბამისი ავტომატიზებული ფორმების დახვეწა						
	2027 წლის საზედამხედველო სტრეს-ტესტების რაუნდისთვის მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვა, ჩატარება და შედეგების ანალიზი						
	კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესების დახვეწა						
	კომერციულ ბანკებისა და მიკრობანკებში მატერიალური რისკის ამღებ პირთა იდენტიფიცირების ინსტრუქციის განახლება და დამტკიცება						
	კომერციულ ბანკებისა და მიკრობანკებში სამეთვალყურეო საბჭოს შეფასების ინსტრუქციის შემუშავება და დამტკიცება						
	კომერციულ ბანკებისა და მიკრობანკებში ანაზღაურების სახელმძღვანელოს განახლება და ანგარიშგების ფორმის განახლება და დამტკიცება						
	მდგრადი დაფინანსების (მწვანე და სოციალური) ტაქსონომიის/მარეგულირებელი ჩარჩოს გადახედვა და განახლება						
	მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მონაცემთა დაფის შექმნა						
	კლიმატის სტრეს-ტესტის ჩარჩოს შემდგომი განვითარება						
	ESC საკითხების სახელმძღვანელოს გადახედვა და განახლება						
	GRAPE სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული რისკების შეფასებასა და ანალიზში ESC საკითხების კიდევ უფრო ნათლად ინტეგრირება						
	ESC საკითხების ანგარიშგებისა და გამუდვანების ფორმის განახლება						

ფინანსური ინოვაციების განვითარება, კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა

ეროვნული ბანკისთვის მომდევნო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება ისეთი საკითხები, როგორებიცაა ფინანსური ინოვაციების განვითარება, კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა. თანამედროვე საფინანსო სექტორში ინოვაცია, მათ შორის, ჯანსაღი კონკურენციის წინაპირობაა. ახალი ფინტექ გადაწყვეტილებების წახალისებით ბაზარზე იზრდება მოთამაშეების და პროდუქტების მრავალფეროვნება, რაც აფართოებს მომხმარებელთა მიერ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს შორის არჩევანის გაცემის შესაძლებლობას და აღნიშნული, ჯანსაღი კონკურენციის გათვალისწინებით, აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. თუმცა, ამავდროულად, თუ ინოვაციური პროდუქტები თავის თავში მოიცავს სიახლეს, მომხმარებლებისთვის შესაძლოა რთული იყოს ახალი პროდუქტებისა და მათი მახასიათებლების აღქმა. შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიზანია, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას და ფინტექ სექტორის განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოს ინვესტორთა და მომხმარებელთა მაღალი დაცულობა. ეს გულისხმობს ფინანსურ პროდუქტებზე გამჭვირვალე და სანდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც საცალო ინვესტირებას გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა სტაბილურ საკანონმდებლო გარემოსა და მოქნილი მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობას შორის, რათა სისტემამ ფეხი აუწყოს ტექნოლოგიურ პროგრესს ისე, რომ არ შეფერხდეს ბაზრის მონაწილეთა ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზრდა. ამ პრიორიტეტის შესრულებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობების განხორციელებით ისახავს მიზნად:

- ინტეგრირებული და ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამის საჯარო და კერძო დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის გაძლიერება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეროვნულმა ბანკმა ერთიანი ეროვნული ჩარჩო დოკუმენტი - [საქართველოს ფინტექის განვითარების სტრატეგია](#) (სამუშაო ვერსია) შეიმუშავა და მასზე საჯარო კონსულტაციის შემდეგ დოკუმენტის მეორე სამუშაო ვერსია გამოაქვეყნა. აღნიშნული დოკუმენტისა და დამატებითი აქტივობების გათვალისწინებით, ფინანსური ტექნოლოგიების ხელშეწყობა, მათ შორის, მოიცავს:
 - ზედამხედველობის ეფექტიანობის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, საზედამხედველო პროცესების და სერვისების გაციფრულების წახალისებას და შესაბამისი საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარებას;
 - საბანკო საქმიანობის პირობით ლიცენზიასთან (ე.წ. „ციფრულ ბანკებთან“) დაკავშირებული ჩარჩოს დახვეწას, მათ შორის, ციფრული ბანკების ლიცენზირების არსებული პრინციპების ფორმალიზებას;
 - ღია ფინანსების განვითარებასა და გავრცელების ხელშეწყობას:
 - შესაბამისი არასაბანკო ინსტიტუტებისთვის მეტ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა, რათა ჰქონდეთ პროდუქტების/პროცესების კიდევ უფრო განვითარების საშუალება და ამ მხრივ ხელი შეეწყოს ბაზარზე, როგორც კონკურენციის გაუმჯობესებას, ისე მომხმარებლებისთვის ახალი სერვისების ხელმისაწვდომობას;
 - მონაცემების გამოყენების ეფექტურობის ზრდისთვის, საერთო ტექნიკური სტანდარტის შემუშავება;
 - ღია ფინანსებზე გადასვლის მიზნებისთვის საზედამხედველო მიდგომების მუდმივი განვითარება, არსებული საჭიროებებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწაზე მუშაობა.
 - ღია საზედამხედველო მიდგომების განვითარებას, რაშიც, მათ შორის, მოიაზრება:
 - ღია რეგულირების პრინციპების დახვეწა, მათ შორის, რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს კიდევ უფრო განვითარება და რეგიონალური თანამშრომლობის გაფართოების მიზნით მუშაობა;

- ფინანსური ინოვაციების ოფისის, როგორც ფინანსური ინოვაციების საზოგადოებასთან მთავარი კომუნიკაციის არხის კიდევ უფრო განვითარება და შესაბამისი სუბიექტების მხარდაჭერა.
- რეგულირების ლაბორატორიის კიდევ უფრო დახვეწას და განვითარებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მისი გამოყენების არეალის გაფართოებას, უცნობი რისკების შესასწავლად, სხვადასხვა ტექნოლოგიის რისკების გამოცდის ჩარჩოს დახვეწას და ეროვნული ბანკისთვის პრიორიტეტული სერვისებისთვის მიზნობრივი რეგულირების ლაბორატორიის (სამიზნე სენდბოქსები) საჭიროებისამებრ გამოცხადებას;
- საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დახვეწას;
- მოდელის განვითარებას, რაშიც, მათ შორის, მოიაზრება:
 - ფინანსებზე წვდომის მეტად გასაუმჯობესებლად მონაცემთა დამუშავების ხელშეწყობა;
 - სტატისტიკური და ხელოვნური ინტელექტის (AI) მოდელის მდგრადი განვითარებისათვის საზედამხედველო ჩარჩოს დახვეწა;
 - მუდმივი სიახლეების გათვალისწინებით, მოდელის გამჭვირვალობისა და ახსნადობის პრინციპების განვითარებისთვის საერთაშორისო პრაქტიკის მონიტორინგი და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად პრინციპების დახვეწა.
- ბლოკჩეინზე დაფუძნებული ფინანსური სერვისების/პროდუქტების კვლევას/ტესტირებას და დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ამასთან, ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ შესაბამის სუბიექტებთან კონსულტაციების გამართვას;
- კონფიდენციალურობის გაძლიერების ტექნოლოგიებზე (Privacy enhancing technologies) რეგულაციების კვლევას და საჭიროებისამებრ პრინციპების შემუშავებას;
- ხელოვნური ინტელექტის (AI) მიმართულებით კვლევის გაღრმავებას და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (Generative AI) მიმართულებით კვლევით საქმიანობას, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით პრინციპების შემუშავებას, ასევე, ეროვნული ბანკის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დანერგვის ხელშეწყობას;
- საფინანსო სექტორში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებასთან დაკავშირებული პრაქტიკის ანალიზს, მარეგულირებელი ჩარჩოს ხარვეზების იდენტიფიცირებას და აღმოფხვრას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ფინტექის შესახებ ფინტექ სერვისების მიმწოდებლების ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და ვორქშოპების ორგანიზებას;
- ფინტექთან დაკავშირებით რეგიონული და საერთაშორისო დონის ღონისძიებების (კონფერენციები, სამიტები, ფესტივალები, ჰაკათონები და სხვა) ორგანიზებას.
- საფინანსო სექტორში კონკურენციის სამართლის ეფექტური აღსრულება, ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობი საზედამხედველო პოლიტიკის განვითარება და მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფა, კონკურენციის აღსრულების მექანიზმების დახვეწით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის კვლევითა და მისი საზედამხედველო გადანაცვ-ტილებების მიღების პროცესში გათვალისწინებით. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს:
 - ფაქტორინგული კომპანიების ეროვნული ბანკის საზედამხედველო სუბიექტებს შორის მოქცევას, „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აღნიშნული კანონის ფარგლებში ფაქტორინგული ოპერაციების განმახორციელებელი პირებისთვის შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებას;
 - კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის სრულყოფას მარეგულირებელი ნორმების სისტემური დახვეწის გზით, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ბოლო პერიოდის შესაბამისი ცვლილებები და პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებები;
 - კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ქვეყნის შიგნით სექტორულ აღმასრულებლებთან და სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის საა-



გენტოსთან თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც, მათ შორის, მოიცავს ერთობლივი ღონისძიებების¹⁸ ჩატარებას;

- ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დახვეწას, პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით;
- კონკურენციის სფეროში ეკონომიკური აგენტისთვის ფულადი ჯარიმის დაკისრებისას ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავებას, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით და საქართველოში კონკურენციის სფეროში უკვე არსებული მიდგომების¹⁹ გათვალისწინებით;
- ეკონომიკური აგენტებისთვის კონკურენციის სამართლით გათვალისწინებული პირობითი ვალდებულებების სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადებას, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე;
- საფინანსო სექტორის შესაბამისი ბაზრ(ებ)ის არსებული ვითარების შეფასებას და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზს, რაც, მათ შორის, მოიცავს კომბინირებულ ფინანსურ პროდუქტებთან დაკავშირებული საკითხებისა და პრაქტიკის შესწავლას და კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით შესაბამის რეაგირებას;
- შესაბამის სუბიექტთა ურთიერთალიარების მიზნით არსებული სამართლებრივი ჩარჩოსა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს, ასევე, სხვა ქვეყნების კოლეგა უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მუშაობა;
- საბანკო ეკოსისტემების რეგულირების კუთხით საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზსა და საჭიროების შემთხვევაში არსებული მიდგომების დახვეწას;
- დაინტერესებული პირებისთვის კონკურენციის სამართლის აღსრულების მიზნით განცხადების/საჩივრის ელექტრონული ფორმით წარმოდგენის შესაძლებლობის დანერგვას, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მექანეზმის პირებისთვის;
- ეროვნული ბანკის, როგორც კონკურენციის სამართლის სექტორული აღმასრულებლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, დანერგილი სტანდარტების, საფინანსო სექტორში კონკურენციის სამართლის აღსრულების სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სკოლებსა და უნივერსიტეტებში შეხვედრების გამართვის გზით.
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, მათ შორის, საბაზრო ქცევის ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით. ამ მიმართულებით შექმნილია [საბაზრო ქცევის ზედამხედველობის სტრატეგია](#),²⁰ რომელიც მოიცავს 2025-2027 წლებისთვის დაგეგმილ აქტივობებს. გარდა ამისა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანია შემდეგი კუთხით მუშაობის გაძლიერება:
 - ვირტუალურ აქტივებთან მიმართებით მომხმარებლის უფლებების დაცვის მხრივ საბაზრო ქცევის შესწავლა, შესაბამისი პრაქტიკების და მიდგომების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწა;
 - ფინანსურ ინოვაციებსა და ტექნოლოგიებთან მიმართებით მომხმარებლის უფლებების დაცვისთვის განსაზღვრული მიდგომების დახვეწა.

18. 2025 წლის 13-15 ნოემბერს, საქართველოში, IV საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებების დაცვა“ გაიმართა. ყოველწლიური კონფერენციის მიზანია საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის საფუძველზე, საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერება, მიღებული შედეგების, გამოწვევების შესახებ გაფართოებული მსჯელობა და მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება. IV საერთაშორისო კონფერენცია სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, ეროვნული ბანკის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისა და კომუნიკაციების კომისიის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა.

19. მაგალითად, მსგავსი ტიპის სახელმძღვანელო შეგიძლიათ იხილოთ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ვებგვერდზე - ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტის სახით.

20. საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლების, საბაზრო ქცევის ზედამხედველობის განვითარებისა და მომხმარებლებზე მორგებული გარემოს დახვეწის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა საბაზრო ქცევის ზედამხედველობის სტრატეგია დაამტკიცა. სტრატეგიის მიღება ხელს შეუწყობს მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ეროვნული ბანკის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და გეგმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ასევე, აღნიშნული მიმართულებით ეროვნული ბანკის საქმიანობის ეფექტურ დაგეგმვასა და სამომავლო აქტივობებზე ფინანსური ორგანიზაციების ინფორმირებულობის ზრდას. დოკუმენტი განსაზღვრავს საბაზრო ქცევის ზედამხედველობის პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს, ასევე, შეფასების ინდიკატორებსა და მათი მონიტორინგის პროცესს.

პრიორიტეტი	აქტივობა	სამოქმედო გეგმა					
		2026		2027		2028	
		HY1	HY2	HY1	HY2	HY1	HY2
ფინანსური ინოვაციების განვითარების უფლებების დაცვის ხელშეწყობა	საბანკო საქმიანობის პირობითი ლიცენზიასთან დაკავშირებული ჩარჩოს დახვეწა						
	ღია ფინანსების მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწა						
	ინოვაციური ფინანსური სერვისების განვითარების მიზნით რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში სამიზნე სენდბოქსების გამოცხადება						
	საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუმჯობესება და რეგულირების წესის დახვეწა						
	სტატისტიკური და ხელოვნური ინტელექტის (AI) მოდელების მდგრადი განვითარებისათვის საზედამხებდევლო ჩარჩოს დახვეწა						
	ბლოკჩეინზე დაფუძნებული ფინანსური სერვისების/პროდუქტების კვლევა/ტესტირება და დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავება, ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ შესაბამის სუბიექტებთან კონსულტაციების გამართვა						
	კონფიდენციალურობის გაძლიერების ტექნოლოგიებზე (Privacy enhancing technologies) რეგულაციების კვლევა და საჭიროებისამებრ პრინციპების შემუშავება						
	ხელოვნური ინტელექტის (AI) მიმართულებით კვლევის გაღრმავება და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (Generative AI) მიმართულებით კვლევითი საქმიანობა, გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით პრინციპების შემუშავება, ასევე, ეროვნული ბანკის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დანერგვის ხელშეწყობა						
	საფინანსო სექტორში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებასთან დაკავშირებული პრაქტიკის ანალიზი, მარეგულირებელი ჩარჩოს ხარვეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა						
	ფინტექის შესახებ ფინტექ სერვისების მიმწოდებლების ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და ვორქშოპების ორგანიზება						
	ფაქტორინგული ოპერაციების განმახორციელებელი პირების ეროვნული ბანკის საზედამხებდევლო სუბიექტებს შორის მოქცევა და ფაქტორინგული ოპერაციების განმახორციელებელი პირებისთვის შესაბამისი საზედამხებდევლო ჩარჩოს შემუშავება						
	კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის სრულყოფა						
	ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დახვეწა						
	კონკურენციის სფეროში ეკონომიკური აგენტისთვის ფულადი ჯარიმის დაკისრებისას ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავება						
	ეკონომიკური აგენტებისთვის კონკურენციის სამართლით გათვალისწინებული პირობითი ვალდებულებების სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება						
	საბანკო ეკოსისტემების რეგულირების კუთხით საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში არსებული მიდგომების დახვეწა						
	დაინტერესებული პირებისთვის კონკურენციის სამართლის აღსრულების მიზნით განცხადების/საჩივრის ელექტრონული ფორმით წარმოდგენის შესაძლებლობის დანერგვა						
	ეროვნული ბანკის, როგორც კონკურენციის სამართლის სექტორული აღმასრულებლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება						
	ვირტუალურ აქტივებთან მიმართებით მომხმარებლის უფლებების დაცვის მხრივ საბაზრო ქცევის შესწავლა, შესაბამისი ანალიზი და საჭიროებისამებრ მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწა						
	ფინანსურ ინოვაციებსა და ტექნოლოგიებთან მიმართებით მომხმარებლის უფლებების დაცვისთვის განსაზღვრული მიდგომების დახვეწა						

ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარება

ეროვნული ბანკის მიზანია, უზრუნველყოს გამჭვირვალე ფასიანი ქალაქების ბაზრის არსებობა, ინვესტიორების ინტერესების დაცვა, სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა და ფინანსური სისტემის მდგრად განვითარებაში წვლილის შეტანა. წინამდებარე პრიორიტეტში განსაზღვრული აქტივობები ასახავს ფასიანი ქალაქების ბაზრის ზედამხედველობის სფეროში დაგეგმილ ძირითად ინიციატივებს. აღნიშნული აქტივობების დასახვისას ეროვნულმა ბანკმა მხედველობაში მიიღო საქართველოს ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარების დონე, არსებული და პოტენციური რისკები და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების საჭიროება. ამასთან, გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე რისკების შეფასება, წარსულში მიღებული გამოცდილება, ბაზრის ანალიზი და ბაზრის მონაწილეებთან არსებული დიალოგი. დაგეგმილი აქტივობების განხორციელების პროცესში ეროვნული ბანკი ითანამშრომლებს ფასიანი ქალაქების ბაზრის მონაწილეებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მარეგულირებელი მოთხოვნებისა და საზედამხედველო პრაქტიკის ეფექტური დანერგვა.

ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარების პროცესში ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და უცხოურ საზედამხედველო ორგანოებთან. აღნიშნული თანამშრომლობა მნიშვნელოვანია საქართველოში სანდო, მდგრადი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ფასიანი ქალაქების ბაზრის ჩამოყალიბებისთვის. ამ პრიორიტეტის შესრულებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობების განხორციელებით ისახავს მიზნად:

- **მარეგულირებელი ჩარჩოს შემდგომი განვითარება, რაც, მათ შორის, მოიცავს:**

- საბროკერო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების საზედამხედველო ანგარიშგების სტანდარტის ამაღლებას. ეროვნული ბანკი განაახლებს საბროკერო კომპანიებისთვის, ასევე, კომერციული ბანკებისთვის და მიკრობანკებისთვის (ფასიანი ქალაქების ბაზარზე საშუაშალო მომსახურების განხორციელების ფარგლებში) და საინვესტიციო ფონდებისთვის დადგენილ სავალდებულო ანგარიშგების ფორმებს. აღნიშნული ცვლილებების მიზანია უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ეროვნული ბანკისათვის რეგულარულად წარდგენილი ინფორმაცია იყოს უფრო გრანულარული და ამომწურავი. ანგარიშგების ფორმების გაუმჯობესებით, გაძლიერდება დასახელებული საზედამხედველო სუბიექტების საქმიანობის მონიტორინგი. შესაბამისად, ხსენებული ინიციატივა წარმოადგენს ეროვნული ბანკის უფრო ფართო ძალისხმევის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური სექტორის მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერებას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისთვის ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებას;
- ფულადი ჯარიმების (სანქციების) ჩარჩოს განახლებას. ფულადი ჯარიმების მარეგულირებელი მოქმედი წესი,²¹ როგორც ადგილობრივი ბაზრის ზრდის, ისე მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარების პარალელურად, ველარ უზრუნველყოფს დამრღვევის მასშტაბის, დარღვევების ხასიათისა და მათი პოტენციური გავლენის შესაბამის, ადეკვატურ და პროპორციულ სანქცირებას. ჯარიმების ჩარჩოს განახლებით უზრუნველყოფილი იქნება სანქციის შემაკავებელი ეფექტი, განახლებული ჩარჩო გაითვალისწინებს პოტენციური დარღვევების სრულ სპექტრს, აგრეთვე, გაიზრდება ფიქსირებული (საბაზისო) ჯარიმის ოდენობა და ფიქსირებული ჯარიმის განსაზღვრის პარალელურად შესაძლებელი გახდება დაჯარიმებისა და დამრღვევის ზომის/მასშტაბის გათვალისწინება;

21. „პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქალაქების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათვორებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანება.

- საბროკერო კომპანიების ლიცენზირების და რეგულირების წესის²² მიმოხილვასა და საჭიროებისამებრ განახლებას. აღნიშნული მიზნად ისახავს არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს გავლენის შეფასებას, მისი ამოქმედებიდან დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით და ხარვეზების იდენტიფიცირების შემთხვევაში მათ აღმოფხვრას;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა პროფესიული ქცევის კოდექსის²³ მიმოხილვასა და საჭიროებისამებრ განახლებას. აღნიშნული მიზნად ისახავს არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს გავლენის შეფასებას, მისი ამოქმედებიდან დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით და ხარვეზების იდენტიფიცირების შემთხვევაში მათ აღმოფხვრას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- აქტივების მმართველი კომპანიის ლიკვიდაციის წესის შემუშავებას. ამ ეტაპზე, აქტივების მმართველი კომპანიის ლიკვიდაციის საკითხებს არეგულირებს „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონი, თუმცა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული დებულებები არ არის საკმარისი აქტივების მმართველი კომპანიის ლიკვიდაციის სრულყოფილად წარმართვისთვის;
- საფონდო ბირჟის რეგულირების წესის²⁴ მიმოხილვასა და საჭიროებისამებრ განახლებას. აღნიშნული მიზნად ისახავს არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს პოტენციური ხარვეზების იდენტიფიცირებას და მათ აღმოფხვრას. ამასთან, ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება საფონდო ბირჟის სავაჭრო პროცედურებისა და მმართველობითი სტრუქტურის შეფასება;
- ISIN-ის მინიჭების თაობაზე წესის²⁵ განახლებას. აღნიშნული მოიცავს Association of National Numbering Agencies-ს (ANNA) რეკომენდაციებისა და სტანდარტების შესაბამისად ახალი კლასიფიკატორების გაწერას ახლად დანერგილი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის;
- ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების მარეგულირებელი წესის²⁶ განახლებას. აღნიშნული მიზნად ისახავს არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს გავლენის შეფასებას, მისი ამოქმედებიდან დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით და პრაქტიკაში იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრას. დამატებით, ეროვნული ბანკი გაზრდის ე.წ. „shelf-registration“ რეჟიმის მოქნილობას;
- საჯარო შეთავაზების პროსპექტის სტანდარტიზებული ფორმის (ნიმუშის) შემუშავებას. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზრდასთან ერთად, ფასიანი ქაღალდების საჯარო ემისიასთან დაკავშირებული ტრანზაქციების სიმრავლის მატების პარალელურად, წინასწარ ხელმისაწვდომი პროსპექტის სტანდარტიზებული ფორმები, რომლებიც შემუშავდება საბროკერო კომპანიებთან (განთავსების აგენტებთან) თანამშრომლობით, უფრო ეფექტურს გახდის ემისიის პროსპექტის დამტკიცების პროცესს;
- ფასიანი ქაღალდების სატენდერო შეთავაზების მარეგულირებელი ჩარჩოს განახლებაზე მუშაობას. ეროვნული ბანკი შეიმუშავებს საკანონმდებლო წინადადებას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში განსაზღვრებული ცვლილების შესახებ, რომელიც ემსახურება აქციების საკონტროლო პაკეტის ყიდვის შესახებ ევროკავშირის დირექტივასთან²⁷ არსებული ჩარჩოს შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნულის საფუძველზე, ეროვნული ბანკი, ასევე, შეიმუშავებს პროექტს მარეგულირებელ ჩარჩოში ცვლილების შესატანად, რომლითაც დაზუსტდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში დადგენილი მოთხოვნები;

22. „საბროკერო კომპანიის ლიცენზირებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანება.

23. „საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 2 თებერვლის №13/04 ბრძანება.

24. „საფონდო ბირჟის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 28 დეკემბრის №169/01 ბრძანება.

25. „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის №73/04 ბრძანება.

26. „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №179/04 ბრძანება.

27. Directive 2004/25/EC of the European Parliament and of the Council of 21 April 2004 on takeover bids.

- მდგრადობის ანგარიშგების დანერგვაზე მუშაობას. ეროვნული ბანკი, პარტნიორ უწყებებთან ერთად, გააგრძელებს მუშაობას მდგრადობის ანგარიშგების დასანერგად. მდგრადობის ანგარიშგების ჩარჩოს დანერგვის გეგმის შემუშავებას საქართველოში კოორდინაციას უწევს ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური და მასში ჩართულია ეროვნული ბანკიც. ევროკავშირის მასშტაბით, კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD)²⁸, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 5 იანვარს, ანაცვლებს არასაფინანსო ანგარიშგების დირექტივას²⁹ განახლებული მოთხოვნებით. აქვე, აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი 2024 წლიდან შეუერთდა მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების დანერგვის ქსელს, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს IOSCO-ს წევრ ორგანიზაციებს საერთაშორისო მდგრადობის სტანდარტების საბჭოს (ISSB) მიერ შემუშავებული ანგარიშგების ჩარჩოს იმპლემენტაციაში;
- საჯარო ფასიან ქალაქებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქალაქებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესის³⁰ განახლებას. აღნიშნული მიზნად ისახავს არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში პოტენციური ხარვეზების იდენტიფიცირებასა და მათ აღმოფხვრას, აგრეთვე, წესის ადაპტაციას ბოლო პერიოდში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან;
- ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის ლიცენზირების და რეგულირების წესის³¹ განახლებას. აღნიშნული მიზნად ისახავს არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში პოტენციური ხარვეზების იდენტიფიცირებას და მათ აღმოფხვრას, აგრეთვე, წესის ადაპტაციას ბოლო პერიოდში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან;
- ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელის საინვესტიციო ანგარიშის წარმოების წესის შემუშავებას. ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, შეიმუშავებს წესს, რომლითაც დარეგულირდება აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელის საინვესტიციო ანგარიშის წარმოება და მასთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხები;
- საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოების წესის³² განახლებას. აღნიშნული მიზნად ისახავს არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში პოტენციური ხარვეზების იდენტიფიცირებას და მათ აღმოფხვრას, აგრეთვე, წესის ადაპტაციას ბოლო პერიოდში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან;
- ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის წესის³³ მიმოხილვასა და საჭიროებისამებრ განახლებას. აღნიშნული მიზნად ისახავს არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს გავლენის შეფასებას, მისი ამოქმედებიდან დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით და ხარვეზების იდენტიფიცირების შემთხვევაში მათ აღმოფხვრას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;

28. Directive (EU) 2022/2464 of the European Parliament and of the Council of 14 December 2022 amending Regulation (EU) No 537/2014, Directive 2004/109/EC, Directive 2006/43/EC and Directive 2013/34/EU, as regards corporate sustainability reporting.

29. Directive 2014/95/EU of the European Parliament and of the Council of 22 October 2014 amending Directive 2013/34/EU as regards disclosure of non-financial and diversity information by certain large undertakings and groups.

30. საჯარო ფასიან ქალაქებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქალაქებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 22 თებერვლის №20/01 ბრძანება.

31. „ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის საქმიანობის შეწყვეტის წესის" დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 9 მარტის №33/01 ბრძანება.

32. „საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №169/04 ბრძანება.

33. „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქალაქების რეგისტრატორის დანიშნის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანება.

- ინსაიდერული ვაჭრობისა და ბაზრის მანიპულაციის მარეგულირებელი წესის³⁴ მიმოხილვასა და საჭიროებისამებრ განახლებას. აღნიშნული მიზნად ისახავს არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს გავლენის შეფასებას, მისი ამოქმედებიდან დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით და ხარვეზების იდენტიფიცირების შემთხვევაში მათ აღმოფხვრას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.
- სადეპოზიტო სერტიფიკატების მარეგულირებელი ჩარჩოს³⁵ განახლებას. აღნიშნული ცვლილებები ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლებს მისცემს შესაძლებლობას, კლიენტების სახელით ნომინალური მფლობელობის ფარგლებში ფლობდნენ სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რაც ხელს შეუწყობს ინვესტორებისთვის სადეპოზიტო სერტიფიკატებზე წვდომის გაფართოებას.
- საინვესტიციო ფონდების წესის³⁶ რეგულაციის მიმოხილვასა და საჭიროებისამებრ განახლებას. აღნიშნულის ფარგლებში გაანალიზდება აქტივების შეფასების არსებული მიდგომები, აგრეთვე, საერთაშორისო პრაქტიკა და IOSCO-ს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. აგრეთვე, გამჭვირვალობის სტანდარტის ამაღლების მიზნით, წესის ცვლილებების შესაბამისად ეროვნული ბანკი პერიოდულად გამოაქვეყნებს აქტივების მმართველი კომპანიების მართვის ქვეშ არსებული საინვესტიციო ფონდების აქტივების ღირებულების შესახებ ინფორმაციას.

● **ფორმალიზებული რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის მოდელის დანერგვა.**

საზედამხედველო სუბიექტების რაოდენობისა და ზომის ზრდა მოითხოვს მარეგულირებლის მხრიდან უფრო დახვეწილი საზედამხედველო ინსტრუმენტების გამოყენებას. პროაქტიული, რისკზე ორიენტირებული და განგრძობითი ზედამხედველობის უფრო მეტად ფორმალიზებულ მოდელზე გადასვლა შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს რისკების უფრო ეფექტური მონიტორინგი და მართვა, საზედამხედველო რესურსების ოპტიმიზაცია და საუკეთესო საზედამხედველო პრაქტიკების დანერგვა მზარდი კომპლექსურობის მქონე ბაზარზე. რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის ფარგლებში, განისაზღვრება შესაბამისი რისკები სუბიექტების კატეგორიების მიხედვით და რისკიანობიდან გამომდინარე მათ მიენიჭებათ შესაბამისი ქულები, ხოლო რისკის პროფილი რეგულარულად განახლდება. ქულების მინიჭება და რისკის პროფილის შექმნა მიზნად ისახავს ზედამხედველობის სიხშირის, ინტენსივობის და ფარგლების განსაზღვრას. ზედამხედველი იყენებს ამ მექანიზმებს რესურსების ეფექტურად განაწილებისთვის, რათა პრიორიტეტი მიანიჭოს უფრო მაღალი რისკისა და ზეგავლენის მქონე სუბიექტებს ან სფეროებს. რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

- დიალოგი რეგულირებულ ბაზრის მონაწილეებთან – ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტის მმართველობითი რგოლი და მისი დამოკიდებულება რისკების მიმართ განსაზღვრავს სუბიექტის საქმიანობის რისკის დონეს და წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას აღნიშნული რისკების შემცირებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დიალოგი ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტის მმართველობითი რგოლის წარმომადგენლებთან. ეს საშუალებას მისცემს ზედამხედველს გაეცნოს კომპანიების კულტურას, სტრატეგიასა და მოტივაციას. დიალოგი უნდა უწყობდეს ხელს შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას და რისკების მართვის სრულყოფას სუბიექტის სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის მიერ;
- მატერიალურ რისკებზე კონცენტრირება – ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ რისკებზე, რომლებიც ყველაზე უფრო დიდ საფრთხეს უქმნის კაპიტალის ბაზარს ან/და ინვესტორების ინტერესებს/აქტივებს;

34. „ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №180/04 ბრძანება.

35. „სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის №49/04 ბრძანება.

36. „საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციის, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №170/04 ბრძანება.

- მომავალზე ორიენტირებული მიდგომა და ადრეული ჩარევები – ეს გულისხმობს ზედამხედველის მიერ ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების წინაშე არსებული საფრთხეებისა და პრობლემების ადრეულ გამოვლენას და შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას მათ აღმოსაფხვრელად;
 - თანმიმდევრულობა – უზრუნველყოფა იმისა, რომ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ყველა სუბიექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების პროცესში თანმიმდევრული მოთხოვნები განისაზღვროს;
 - შიდა რესურსების ეფექტიანი გამოყენება – რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობა გულისხმობს ზედამხედველობის რესურსების ყველაზე ეფექტიან გამოყენებას, რისკებზე და მათი შემცირების საშუალებებზე კონცენტრირებით, ნაცვლად მათი მარეგულირებელ ჩარჩოსთან შესაბამისობის შეფასების პასიური პროცესისა.
- **ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და კვლევების წარმოება, რაც მათ შორის, მოიცავს:**
 - **ინტერაქტიული სტატისტიკისა და კვლევების გამოქვეყნებას:**
 - კაპიტალის ბაზრის ინტერაქტიული სტატისტიკა - 2024-2025 წლებში ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული საჯარო კორპორაციული ობლიგაციებისა და ადგილობრივ ბაზარზე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების შესახებ ინტერაქტიული სტატისტიკის წარმოება. აღნიშნული სტატისტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება და ყოველთვიურად განახლდება ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე. 2026 წლიდან იგეგმება ინტერაქტიულ სტატისტიკაში ადგილობრივ ბაზარზე კერძო შეთავაზების გზით გამოშვებული ობლიგაციებისა და უცხოურ ბაზარზე ქართული კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და შემდგომ პერიოდული განახლება. ასევე, იგეგმება ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მფლობელობის სტრუქტურის შესახებ პერიოდულად განახლებადი ინტერაქტიული სტატისტიკის გამოქვეყნება;
 - კაპიტალის ბაზრის განვითარების ტენდენციების შესახებ ანგარიშები - 2024-2025 წლებში ეროვნულმა ბანკმა დაიწყო რეგულარული (ნახევარწლიური) მიმოხილვითი ანგარიშის გამოქვეყნება, რომელიც ასახავს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საანგარიშო პერიოდში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს (განხორციელებული ემისიები, საპროცენტო განაკვეთები, მეორადი ბაზრის აქტივობა, საინვესტიციო ფონდების ბაზრის ზომა, ახალი ტენდენციები და ა.შ.). ბაზრის განვითარების კვალდაკვალ, აღნიშნულ ანგარიშს დაემატება კაპიტალის ბაზრის სხვა/დამატებითი სეგმენტების მიმოხილვითი სექციები;
 - აკადემიური კვლევები/პრეზენტაციები - ეროვნული ბანკი პერიოდულად მოამზადებს და გამოაქვეყნებს აკადემიურ კვლევებს/პრეზენტაციებს, რომლებიც ეხება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ან/და რეგულირების საკვანძო საკითხებს.
 - **ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვის მხარდაჭერას:**
 - უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების (REIT) ჩარჩოს შემუშავება - ეროვნული ბანკი გააგრძელებს თანამშრომლობას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან საკანონმდებლო ცვლილებების გზით REIT-ებისთვის მარეგულირებელი ჩარჩოს შესამუშავებლად, მათ შორის, საგადასახადო მიმართულებით. საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემდეგ, ეროვნული ბანკი დაადგენს, საინვესტიციო ფონდების ჩარჩოს ფარგლებში, REIT-ებისათვის უფრო დეტალურ საზედამხედველო მოთხოვნებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად;
 - იპოთეკით დაცული ობლიგაციების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა - ეროვნული ბანკი, EBRD-თან მჭიდრო თანამშრომლობით, ხელს შეუწყობს იპოთეკური ობლიგაციების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივების მართვისთვის ციფრული გადაწყვეტილების დანერგვას კომერციულ ბანკებში. ციფრული პროგრამა, რომელსაც სათანადო ექსპერტიზისა და რეპუტაციის მქონე საერთაშორისო მომწოდებელი კომპანია შეიმუშავებს, ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს ყველა კომერციული ბანკისთვის. ეროვნული ბანკი განახორციელებს ღონისძიებებს კომერციული ბანკებისათვის სადებიუტო იპოთე-

კური ობლიგაციების ემისიის მხარდასაჭერად. ეს შეიძლება გამოიხატოს კომერციული ბანკებისათვის საზედამხებდევლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ დეტალური სახელმძღვანელოს შემუშავებაში, აგრეთვე, უცხოური გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობაში.

- **ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საცალო ინვესტორების მონაწილეობის წახალისებას:**

- ეროვნული ბანკი ყურადღებას გაამახვილებს ფინანსური განათლების პროგრამების გაძლიერებასა და ინვესტორთა დაცვის მექანიზმების დანერგვაზე, რათა ამაღლდეს პოტენციურ ინვესტორთა ცნობიერება და უფრო მეტად განმტკიცდეს ინვესტორთა ნდობა;
- ეროვნული ბანკი წახალისებს საბროკერო კომპანიებს, რათა მათ დანერგონ მომხმარებელზე ორიენტირებული და მარტივად გამოსაყენებელი ციფრული პლატფორმები, უზრუნველყონ გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი საინფორმაციო გარემო და შესთავაზონ მრავალფეროვანი საინვესტიციო პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება საცალო ინვესტორების საჭიროებებს.

- **ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა, რაც მათ შორის, მოიცავს:**

- **ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურებების დანერგვის ხელშეწყობას:**

- ეროვნული ბანკი ითანამშრომლებს ბაზრის მონაწილეებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურებების დანერგვასთან დაკავშირებით, მათ შორის, რეგულირების ლაბორატორიის გამოყენების გზით. ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურებების დანერგვის წახალისება ხელს შეუწყობს ბაზარზე ახალი მონაწილეების გაჩენას;
- ეროვნული ბანკი განახორციელებს კაპიტალის ბაზრის სტრუქტურისა და კონკურენტული გარემოს მუდმივ მონიტორინგს, მათ შორის, პერიოდულად შეაფასებს კონცენტრაციის რისკებს, ინტერესთა კონფლიქტებსა და ისეთი პრაქტიკებს, რომლებიც შესაძლოა არღვევდეს კონკურენციას ან ზიანს აყენებდეს ინვესტორებს და საჭიროების შემთხვევაში გაატარებს შესაბამის საზედამხებდევლო ღონისძიებებს.


- **საერთაშორისო პარტნიორობით თანამშრომლობის გაძლიერებას:**

- ეროვნული ბანკი ითანამშრომლებს უცხოურ ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ორგანოებთან კაპიტალის ბაზარზე თანმიმდევრული და პროპორციული მარეგულირებელი და საზედამხებდევლო მიდგომების ჩამოყალიბების მიზნით. საერთაშორისო პარტნიორობის გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს ბაზარზე არსებული პოტენციური ბარიერების, ახალი ბიზნეს-მოდელებისა და კონკურენციის შემზღუდველი ფაქტორების ადრეულ იდენტიფიცირებას. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ეროვნულმა ბანკმა IOSCO-ს ორდინალური წევრის სტატუსი მოიპოვა;
- ეროვნული ბანკი ითანამშრომლებს უცხოური ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ორგანოებთან (მათ შორის, შესაბამისი მემორანდუმის გაფორმების გზით), რათა ხელი შეუწყოს ადგილობრივი ბაზრის უფრო მჭიდროდ დაკავშირებას საერთაშორისო ბაზრებთან, უცხოური ბაზრის მონაწილეთათვის საქართველოს ბაზარზე შემოსვლისათვის შემზღუდველი ბარიერების შემსუბუქებას, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება კონკურენტული გარემოს განვითარებაზეც.

- **საცალო ინვესტორების დაცვა, რაც, მათ შორის, მოიცავს:**

- **ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის გაძლიერებას:**

ეროვნული ბანკი გეგმავს საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის გაძლიერებას, ანგარიშგებების ხარისხობრივი მიმოხილვის პროცესის ჩათვლით. კოდექსის შესაბამისად, მისი მოქმედების სფეროში შემავალი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებული არიან განახორციელონ ყოველთვიური ანგარიშგება ეროვნულ ბანკთან კოდექსის




ფარგლებში დაფიქსირებულ ინციდენტებთან, დარღვევებთან, საჩივრებთან და გატარებულ ზომებთან დაკავშირებით;

○ **მაღალი რისკის შემცველი ფინანსური ინსტრუმენტების გაძლიერებულ ზედამხედველობას:**

საცალო ინვესტორებისთვის განკუთვნილი რთული ფინანსური ინსტრუმენტების პროაქტიული და რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ლევერიჯის შემცველი ან/და მაღალი ვოლატილობის აქტივებზე დამოკიდებული ფინანსური ინსტრუმენტებისათვის დამახასიათებელი რისკები, როგორც წესი, არასაკმარისად არის გააზრებული არაპროფესიონალი ინვესტორების მიერ. სწორედ ამ პროდუქტების ეკონომიკური შინაარსი, და არა მათი კომერციული სახელწოდება, განსაზღვრავს მათ მიმართ ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიდგომას.

ამ კონტექსტში, პრიორიტეტს წარმოადგენს რთული საცალო ფინანსური პროდუქტების შექმნისა და გავრცელების პროცესებზე გაძლიერებული ზედამხედველობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მიზნობრივი ბაზრის სათანადოდ განსაზღვრას და მიზნობრივი დისტრიბუციის სტრატეგიების დანერგვას. ზედამხედველობა ასევე მოიცავს რისკების გამჭვირვალე კომუნიკაციასა და ინტერესთა კონფლიქტების სათანადო მართვას - განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანიებს შეიძლება ჰქონდეთ მოტივაცია მაღალი რისკის მქონე პროდუქტების წახალისებისკენ. აღნიშნული მიდგომების გაძლიერება და მათი შესრულების სკრუპულოზური მონიტორინგი, ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურებების ხელშეწყობის პარალელურად, ხელს შეუწყობს ინვესტორთა დაცვას და კაპიტალის ბაზრის სანდოობის განმტკიცებას.



პრიორიტეტი	აქტივობა	სამოქმედო გეგმა					
		2026		2027		2028	
		HY1	HY2	HY1	HY2	HY1	HY2
ფასიანი ქალაქდღებების ბაზრის განვითარება	საბროკერო კომპანიების, კომეციული ბანკების, მიკრობანკებისა და საინვესტიციო ფონდების საზედამხებდებლო ანგარიშგების სტანდარტის ამოღება						
	„პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქალაქდღების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათვრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის“ განახლება						
	საბროკერო კომპანიების ლიცენზირების და რეგულირების წესის მიმოხილვა და საჭიროებისამებრ განახლება						
	ფასიანი ქალაქდღების ბაზრის მონაწილეთა პროფესიული ქცევის კოდექსის მიმოხილვა და საჭიროებისამებრ განახლება						
	აქტივების მმართველი კომპანიის ლიკვიდაციის წესის შემუშავება						
	საფონდო ბირჟის რეგულირების წესის მიმოხილვა და საჭიროებისამებრ განახლება						
	ISIN-ის მინიჭების თაობაზე წესის განახლება						
	ფასიანი ქალაქდღების საჯარო შეთავაზების მარეგულირებელი წესის განახლება						
	საჯარო შეთავაზების პროსპექტის სტანდარტიზებული ფორმის (ნიმუშის) შემუშავება						
	ფასიანი ქალაქდღების სატენდერო შეთავაზების მარეგულირებელი ჩარჩოს განახლებაზე მუშაობა						
	მდგრადობის ანგარიშგების დანერგვაზე მუშაობა						
	საჯარო ფასიან ქალაქდღებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის, ჩანაწერით ფლობის, აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის და საჯარო ფასიან ქალაქდღებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესის განახლება						
	ფასიანი ქალაქდღების რეგისტრატორის ლიცენზირების და რეგულირების წესის განახლება						
	ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელის საინვესტიციო ანგარიშის წარმოების წესის შემუშავება						
	საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოების წესის განახლება						
	ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის წესის მიმოხილვა და საჭიროებისამებრ განახლება						
	ინსაიდერული ვაჭრობისა და ბაზრის მანიპულაციის მარეგულირებელი წესის მიმოხილვა და საჭიროებისამებრ განახლება						
	სადეპოზიტო სერტიფიკატების მარეგულირებელი ჩარჩოს განახლება						
	საინვესტიციო ფონდების წესის რეგულაციის მიმოხილვა და საჭიროებისამებრ განახლება						
	უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების ჩარჩოს შემუშავება						
	იპოთეკური ობლიგაციების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივების მართვისთვის ციფრული გადაწყვეტილების კომერციულ ბანკებში დანერგვის ხელშეწყობა						
	სადებიუტო იპოთეკური ობლიგაციების ემისიის მხარდაჭერა						

მომავალზე ორიენტირებული ზედამხედველობის გაძლიერება და ინკლუზიურობის ზრდა

თანამედროვე საფინანსო სექტორის კომპლექსურობა და დინამიკურობა ცენტრალური ბანკისგან მოითხოვს არა მხოლოდ რეაგირებას არსებულ გამოწვევებზე, არამედ პოტენციური რისკების წინასწარ განჭვრეტასა და მათზე ადაპტირებას. ამ მხრივ, ზედამხედველობის ეფექტურობა პირდაპირ კავშირშია მარეგულირებლის შიდა ორგანიზაციულ მდგრადობასთან და სათანადო გადაწყვეტილების მიღების პროცესის არსებობასთან. შესაბამისად, მომავალზე ორიენტირებული ზედამხედველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თავად ორგანიზაციული განვითარებაა, რაც თავის მხრივ, განგრძობით ძალისხმევას მოითხოვს.


ამასთან, მომავალზე ორიენტირებული ხედვის განუყოფელი ნაწილია ინკლუზიურობის ზრდა, რაც მოიცავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მრავალფეროვანი პერსპექტივებისა და მოსაზრებების ინტეგრირებას. გარდა თანამშრომლებისთვის ინკლუზიური გარემოს არსებობისა, ამ მხრივ ეროვნული ბანკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ინკლუზიური მიდგომა ეხმარება ეროვნულ ბანკს უკეთ აღიქვას საფინანსო სექტორის სხვადასხვა სეგმენტის საჭიროებები. ამ პრიორიტეტის შესრულებას ეროვნული ბანკი შემდეგი აქტივობების განხორციელებით ისახავს მიზნად:

- ეროვნული ბანკის მიერ პოლიტიკის შემუშავების ციკლური პროცესის ფარგლებში რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების მეთოდოლოგიის (RIA) შემუშავება.
- საბანკო და არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის ძირითად საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესის დახვეწა.
- კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მიერ ეროვნულ ბანკში ანგარიშების გაუმჯობესებაზე განგრძობითად მუშაობა, რაც, მათ შორის, მოიცავს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის უფრო მეტ დეტალიზაციას და ამგვარად კიდევ უფრო მეტ გამჭვირვალობას.
- NBFი დისტანციური ზედამხედველობის პორტალის³⁷ და საჭიროებისამებრ NBFი დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის განახლება.
- მონაცემთა ანალიზისა და საზედამხედველო ტექნოლოგიების (SupTech) განვითარება ეროვნულ ბანკში, რაც მოიცავს:
 - საკრედიტო რეესტრის განვითარებას და მონაცემთა ხარისხის ამაღლებას;
 - საზედამხედველო ფორმების ოპტიმიზაციას;
 - მეგამონაცემების (Big Data) მოდელირებას და საზედამხედველო პროცესში ინტეგრაციას;
 - მანქანური სწავლების (Machine Learning) ალგორითმების დანერგვას;
 - XBRL სტანდარტზე დაფუძნებული საზედამხედველო ინფორმაციის გადატანას;
 - რისკების ანალიტიკური ინსტრუმენტების (dashboards) შემუშავებას;
 - ხელოვნური ინტელექტის (AI) და ჩაშენებული ზედამხედველობის ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მათ შორის, აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისზე (API) დაფუძნებული ზედამხედველობის განვითარებას.
- თანამშრომლობის გაღრმავება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, კოლეგა უწყებებთან, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებითა და არსებულების საჭიროებისამებრ განახლებით, რაც გააძლიერებს ეფექტურ კოორდინაციას, ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლასა და ერთობლივი საზედამხედველო მიდგომების ჩამოყალიბებას.
- ბიზნესუნწყებობის რისკის შემცირების, ინსტიტუციონალური მეხსიერების შენარჩუნებისა და ინფორმაციული ბაზის სისტემატიზების ხელშეწყობის მიზნით, საზედამხედველო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ფუნქციური როლების გაძლიერება, რათა განსაზღვრული იყოს

37. პორტალი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე.

მაქსიმალურად მკაფიო ჩარჩო და საზედამხედველო ინფორმაციის შენახვის სისტემური მიდგომის გაძლიერება.

- შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფების, მონაცემთა ბაზებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება, რაც დაეხმარება ეროვნული ბანკის თანამშრომლებს ინფორმაციის უფრო სწრაფ ანალიზსა და ეფექტურ ზედამხედველობაში.
- საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კომუნიკაციისა და დიალოგის გაგრძელება, მათ შორის, საჯარო თუ სექტორთან გამართული კონსულტაციების ფარგლებში, ასევე, შეხვედრების, სამიტების, ტრენინგებისა და მსგავსი აქტივობების დაგეგმვით.
- ინკლუზიური და მოქნილი სამუშაო გარემოს გაძლიერება, რომელიც ეფუძნება თანასწორობას, მრავალფეროვნებას და მიმართულია თანამშრომელთა მოტივაციისკენ.
- ეროვნული ბანკის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა, რაც, მათ შორის, მოიცავს:
 - კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ადმინისტრირების შიდა ელექტრონული პროგრამის დანერგვასა და განვითარებას;
 - ცენტრალური ბანკების, საფინანსო ინსტიტუტებისა და სხვა წამყვანი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში თანამშრომელთა ჩართულობის უზრუნველყოფას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ.
- ეროვნულ ბანკში გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობითი კულტურის კიდევ უფრო გაძლიერება, რაც, მათ შორის, მოიცავს ცოდნისა და ინფორმაციის გაზიარებას ეროვნული ბანკის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის.
- ტალანტების მართვა და განვითარება, რამდენადაც ეროვნული ბანკის ძირითადი საქმიანობა უკავშირდება ისეთ სპეციფიურ კომპეტენციებს, რომლებიც დეფიციტურია შრომის ბაზარზე.
- ორმხრივი კომუნიკაციის ხელშეწყობა და თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემების კიდევ უფრო დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს თითოეული სპეციალისტის ინდივიდუალური პოტენციალის რეალიზებასა და მუდმივ განვითარებას.



01.01.2026

პრიორიტეტი	აქტივობა	სამოქმედო გეგმა					
		2026		2027		2028	
		HY1	HY2	HY1	HY2	HY1	HY2
მომავალზე ორიენტირებული ზედამხედველობის გაძლიერება და ინკლუზიურობის ზრდა	ეროვნული ბანკის მიერ პოლიტიკის შემუშავების ციკლური პროცესის ფარგლებში რეგულირების ზეგავლენის შეფასების განხორციელების მეთოდოლოგიის (RIA) შემუშავება						
	საბანკო და არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის ძირითად საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესის დახვეწა						
	NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალისა და საჭიროებისამებრ NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის განახლება						
	ხელოვნური ინტელექტის (AI) და ჩაშენებული ზედამხედველობის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, მათ შორის, API-ზე დაფუძნებული ზედამხედველობის განვითარება						
	კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ადმინისტრირების შიდა ელექტრონული პროგრამის დანერგვა და განვითარება						

2025 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და სტრატეგიის შესრულების ანგარიში

2025 წელს ეროვნულმა ბანკმა, საზედამხედველო ჩარჩოს გაძლიერებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, საზედამხედველო სტრატეგიით განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, არაერთ მნიშვნელოვან პროექტსა და რეფორმაზე იმუშავა. აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით ქვემოთ იხილავთ მოკლე მიმოხილვას, ხოლო უფრო დეტალური ინფორმაცია ეროვნული ბანკის მიერ 2025 წელს გაწეული სამუშაოების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული ბანკის 2025 წლის წლიურ ანგარიშში.³⁸ ამასთან, რიგი აქტივობები ასახულ იქნა 2026-2028 წლების სამოქმედო გეგმაში.

საფინანსო სექტორის რისკების მართვის ჩარჩოს გაუმჯობესება და შედეგებზე პროაქტიული რეაგირება

- გასულ წლებში საფინანსო სექტორმა, განსაკუთრებით კი საბანკო დაწესებულებებმა, აქტიურად დაიწყეს ღრუბლოვანი აუთოსორსინგული მომსახურებების გამოყენება. წლის განმავლობაში გრძელდებოდა კრიტიკული ფუნქციების ღრუბლოვან გარემოში გადატანის პროცესი, რის შედეგადაც ღრუბლოვანი აუთოსორსინგული მომსახურებების გამოყენების მასშტაბი საბანკო სექტორში კიდევ უფრო გაიზარდა. 2025 წლისთვის საბანკო სექტორის კრიტიკული ფუნქციების 53% გადატანილია ღრუბლოვან გარემოში.
- 2025 წელს გაგრძელდა მუშაობა კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს შემდგომ დახვეწაზე. საფინანსო ინსტიტუტებში საოპერაციო რისკების მართვის გაძლიერებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების მიზნით, 2025 წელს განხორციელდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისია, რომლის ფარგლებშიც მოხდა საოპერაციო რისკების მართვის რეგულაციის ბაზელის უახლეს პრინციპებთან შესაბამისობის განხილვა, საოპერაციო რისკების სტრეს-ტესტებისა და მონაცემთა ეფექტურად აგრეგაციისა და ანგარიშგებების წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა. გაზიარებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება საოპერაციო რისკების მართვის საზედამხედველო პროცესის შესრულებაში. ამ პროცესის ფარგლებში, კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს განახლებაზე მუშაობა 2026 წელს იგეგმება.
- ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობდა კომერციულ ბანკებთან და მიკრობანკებთან საოპერაციო რისკების მართვის პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაზე. გრძელდებოდა კომერციული ბანკების და მიკრობანკების შემოწმება ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების მართვის დებულების ჩარჩოსთან შესაბამისობაზე. მათ შორის, დიდი ყურადღება ექცევა კომერციული ბანკების მიერ ბიზნეს უწყვეტობის სრულყოფილად ჩატარებას სხვადასხვა სცენარის მიხედვით, აუთოსორსინგულ პროცესების შეფასებას და მონიტორინგს, რისკის შეფასების და მითიგაციის ინსტრუმენტებს, რისკის პროფილისა და რისკის ჯანსაღი კულტურის ინტისტრუქციონალიზაციას.
- 2025 წელს კვლავ აქტუალური იყო საოპერაციო რისკის პროგნოზირების ინსტრუმენტების გაფართოების საკითხი. ამ მიმართულებით, მიმდინარეობდა საოპერაციო რისკების სტრეს-ტესტების შესწავლა და კვლევა, რაც მიზნად ისახავს ნეგატიური სცენარის დადგომის შემთხვევაში ორგანიზაციის კაპიტალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე მოვლენის მოსალოდნელი ზეგავლენის განსაზღვრის და მისი შემცირების შესაძლებლობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოტენციური თუ რეალური საოპერაციო რისკების დანაკარგების ისტორიული მონაცემების აღრიცხვას და სრულყოფას, საოპერაციო რისკების მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ ანალიზსა და სისტემური ზეგავლენის

38. საქართველო ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

შეფასებას. ამასთან, სცენარული მიდგომით ტესტირება ინტეგრირდა ბიზნეს უწყვეტობაში. ბანკები აღნიშნულ მიდგომას ითვალისწინებდნენ, როგორც გაჯანსაღების გეგმის შემუშავების პროცესში, ისე სტრეს-ტესტირების ფარგლებში. მიმდინარე ეტაპზე გრძელდება აღნიშნული მიმართულების შემდგომი კვლევა და განვითარება. ეროვნული ბანკი ყურადღებას ამახვილებს ადამიანური შეცდომით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაციაზე, ხელით შესრულებული პროცესებისა და კონტროლების გაუმჯობესებაზე, ასევე, დანაკარგების აღმოჩენისა და აღრიცხვის ავტომატიზაციაზე.


- 2025 წელს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების ზედამხედველობის განყოფილების გუნდი აქტიურად იყო ჩართული და მხარს უჭერდა საოპერაციო რისკების მიმართულებით ფინანსური ტექნოლოგიების, ინოვაციური საბანკო პროდუქტების, პროცესების გაციფრულებისა და ციფრული ბანკინგის უსაფრთხო და მდგრად განვითარებას საქართველოს ფინანსურ სექტორში. გასული წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი განაგრძობდა საზედამხედველო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიური პროდუქტების, ღია ბანკინგის, ციფრული ბანკინგის, პირის დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესებთან დაკავშირებული საოპერაციო რისკების ანალიზსა და შეფასებას.
- ეროვნული ბანკი განაგრძობს კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს შეფასებას და გეგმის შესაბამისად ახორციელებს ადგილზე შემოწმებებს. 2025 წელს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოს ციკლური შემოწმების ფარგლებში, პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენდა საოპერაციო მდგრადობა, აუთსორსინგული პროცესები, რისკის მონიტორინგისა და შერბილების ინსტრუმენტები, სიზუსტის რისკი, რისკის პროფილის შეფასება და რისკის ჯანსაღი კულტურის ინტისტუციონალიზაცია. ეროვნული ბანკი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ კომერციულმა ბანკებმა და მიკრობანკებმა ორგანიზაციის მასშტაბით დანერგონ და გამოიყენონ საოპერაციო რისკების მართვის ერთიანი მეთოდოლოგია, მათ შორის, უზრუნველყონ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური რისკების მართვის პროცესების ინტეგრირება და მათი შესაბამისობა საოპერაციო რისკების მართვის პრინციპებსა და მეთოდოლოგიასთან. ეროვნული ბანკი ყურადღებას უთმობს კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მხრიდან აუთსორსინგული ურთიერთობების წამოწყების ეტაპზე შესაბამისი კომპანიების/პროდუქტების შეფასების პროცესს, აგრეთვე აუთსორსინგული პროცესების მონიტორინგის და პერიოდული გადაფასების საკითხს, მათ შორის, გეგმიურ და რისკზე დაფუძნებული მიდგომით. გასულ წელს კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების მონიტორინგის ფარგლებში კი, მუდმივ რეჟიმში აფასებდა მათთვის გაცემული საზედამხედველო მოთხოვნების მიმდინარე სტატუსს.
- ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს საბანკო სექტორში საოპერაციო რისკების ცნობიერების ამაღლებას, საოპერაციო რისკების მართვის გაფართოებასა და საზედამხედველო პრინციპების განვითარებას. ასევე, ამ მიმართულებით, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების, სტარტაპებისა და ფინანსური ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიების გაციფრულების ხელშეწყობის ფარგლებში, ხორციელდება საოპერაციო რისკების მართვის პრაქტიკისა და შეფასების დანერგვაზე რეკომენდაციების გაზიარება.
- საბანკო სექტორში მოქმედი კიბერუსაფრთხოების საზედამხედველო მოთხოვნების ფარგლებში, 2025 წელს, ისევე როგორც 2024 წელს, ეროვნული ბანკი აგრძელებდა ბანკებში [კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს](#) დანერგვის, ეფექტიანი ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების ზედამხედველობას. კიბერრისკის ზედამხედველობის გუნდმა ზემოხსენებულ ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განახორციელა კომერციული ბანკების ციკლური შეფასებები, რომლებიც ძირითადად ადგილზე ფიზიკური ვიზიტების ფორმატში წარიმართა. შეფასების შედეგად გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებით განისაზღვრა როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნები, ასევე, რეკომენდაციები. მიმდინარე რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ძირითადი გასაუმჯობესებელი მიმართულებები მოიცავდა კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფი პროცესების ფორმალიზებას და ეფექტურობის ზრდას, რისკების მართვის პრაქტიკის, მათ შორის, მესამე მხარეებიდან მომდინარე რისკების მართვის გაუმჯობესებას, ინფორმაციის დაცვის მიზნით დანერგილი პროცესებისა და

ტექნოლოგიური გადაწყვეტების ეფექტიანობას, ცნობიერების ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვასა და ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებაში დასაქმებული ადამიანური რესურსების გაძლიერებას სათანადო კომპეტენციებით. ასევე, საყურადღებოა ბიზნესის უწყვეტობისა და მზადყოფნის გეგმების არსებობა და მათი ეფექტიანობა პოტენციურად მასშტაბური კიბერინციდენტის დადგომისას.

- 2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობდა კომერციული ბანკებისა და მიკრობანკებისთვის (მათ შორის, ციფრული ბანკებისთვის) კიბერუსაფრთხოების მართვის მარეგულირებელი მოთხოვნების განახლებაზე, ასევე, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის შესაბამისი მოთხოვნების შემუშავებაზე. სამუშაო პროცესი ეფუძნებოდა როგორც ევროკავშირში მოქმედ კანონმდებლობასა და აღიარებულ დარგობრივ სტანდარტებს, ევროპის ცენტრალური ბანკების კიბერრისკის ზედამხედველობის პრაქტიკას, ისე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) თანამშრომლობით, ტექნიკური მისიის ფარგლებში მიღებულ [რეკომენდაციებს](#), რომელთა დამუშავების შედეგად მომზადდა კიბერუსაფრთხოების მართვის რეგულაციისა და კიბერუსაფრთხოების ინციდენტების შესახებ ეროვნულ ბანკთან ანგარიშგების წესების მნიშვნელოვანი განახლება. ამასთან, მომზადდა კომერციული ბანკების, მიკრობანკებისა და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს კიბერუსაფრთხოების მართვის განახლებული ჩარჩოს პროექტი, რომელიც სექტორთან გაზიარების შემდეგ მიღებული კომენტარების საფუძველზე დახვეწის ეტაპზეა.
- 2025 წლის განმავლობაში კიბერრისკების საზედამხედველო სფეროს დაემატა ასევე არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, რაც ლოგიკური გაგრძელებაა საფინანსო სექტორში კიბერუსაფრთხოების ფართო სურათის შესაქმნელად. საქართველოს საფინანსო სექტორში 2025 წლის ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო საკითხად, მსგავსად წინა წლებისა, კვლავ რჩება მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების რისკების სათანადოდ მართვა.
- ეროვნული ბანკი აკვირდება საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენებს, რათა, კიბერშეტევების იდენტიფიცირების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის მთლიანად საბანკო სექტორისთვის მიწოდება მყისიერად განხორციელდეს. კიბერინციდენტების შესახებ კვარტალური ანგარიშების წარმოება კიბერინციდენტების ტენდენციების დინამიკის წარმოდგენის საშუალებას იძლევა. 2025 წლის მნიშვნელოვან ინციდენტებად კვლავ ფიქსირდება ფიშინგი და სისტემების შეფერხებები. ამას გარდა, 2025 წლის ფარგლებში, ისევე როგორც გასულ წლებში, საბანკო სექტორში მომსახურების შეფერხების განაწილებული (DDoS) შეტევებიც ფიქსირდებოდა, ამ მხრივ გამონაკლისი არ იყო კრიტიკული მესამე მხარეებიც. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი ყურადღებით აკვირდება საფინანსო სექტორში მიმდინარე ტექნოლოგიურ სიახლეებს, რაც, თავის მხრივ, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების გამომწვევებს უკავშირდება. 2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის საზედამხედველო არეალს კიბერრისკის ზედამხედველობის ჭრილში დაემატა არასაბანკო ინსტიტუტებიც.
- ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლების, საბაზრო ქცევის ზედამხედველობის განვითარებისა და მომხმარებლებზე მორგებული გარემოს დახვეწის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა 2025 წელს [საბაზრო ქცევის ზედამხედველობის სტრატეგია](#) დაამტკიცა. სტრატეგიის მიღება ხელს უწყობს მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ეროვნული ბანკის ხედვაზე, პრიორიტეტებსა და გეგმებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ასევე, აღნიშნული მიმართულებით ეროვნული ბანკის საქმიანობის ეფექტიან დაგეგმვასა და სამომავლო აქტივობებზე ფინანსური ორგანიზაციების ინფორმირებულობის ზრდას. დოკუმენტი განსაზღვრავს საბაზრო ქცევის ზედამხედველობის პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს, ასევე, შეფასების ინდიკატორებსა და მათი მონიტორინგის პროცესს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ეროვნული ბანკის 2025-2027 წლების პრიორიტეტები შემდეგნაირად განისაზღვრა:
 - რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის გაძლიერება;
 - საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან/პრაქტიკებთან დაახლოება;
 - საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა.

- 2025 წელს ამოქმედდა კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის ნორმა, რომლის შესაბამისადაც, კიდევ უფრო გაიზარდა გენდერული მრავალფეროვნების მოთხოვნა და ბანკებს წარმოეშვათ ვალდებულება, 2025 წლის 1 ივნისიდან დაიცვან სამეთვალყურეო საბჭოებში განსხვავებული სქესის ლიმიტი - არანაკლებ 40 პროცენტის ოდენობით. რაც შეეხება მიკრობანკებს, ხსენებული 40 პროცენტისანი მოთხოვნის დაცვა მათ 2026 წლის 1-ლი ივლისიდან ევალებათ. ამასთან, იმ საბანკო დაწესებულებებს, რომელთა სამეთვალყურეო საბჭოებიც ბანკის ზომისა და საქმიანობის მასშტაბების გათვალისწინებით 3 წევრისგან შედგება, გამონაკლისის სახით, განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა 33 პროცენტისანი მოთხოვნის დაცვა ევალებათ. ამასთანავე, ცვლილებები განხორციელდა კომერციული ბანკებისა და მიკრობანკების კორპორაციული მართვის კოდექსებში და დაზუსტდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნა. კერძოდ, ცვლილებების მიხედვით, ანაზღაურებებს შორის 30%-იანი ლიმიტის დათვლის მიზნებისთვის აღარ გაითვალისწინება სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი თავმჯდომარისა და ნულოვანი ანაზღაურების მქონე წევრთა ანაზღაურებები.
- ფინანსური სისტემის განვითარება და ამ განვითარების თანმდევი გამოწვევები მაკროფინანსური მოდელის გამოყენების არეალს აფართოებს და მის მიმართ მზარდ მოთხოვნებს წარმოშობს. შესაბამისად, მაკროფინანსური მოდელის განვითარება და დახვეწა უწყვეტი პროცესია, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ დახმარებას. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი ეტაპობრივად გადავიდა ადგილობრივი ანგარიშგების სტანდარტებიდან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს 9). 2023 წლის ივლისიდან ადგილობრივი სტანდარტები სრულად შეიცვალა ფასს 9 სტანდარტებით. ანგარიშგების სტანდარტების ამ ცვლილების გათვალისწინებით, განახლდა “Top-Down” სტრეს-ტესტის მეთოდოლოგია. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ფარგლებში, 2025 წლის დასაწყისში, ფასს 9-ის შესაბამისად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად საკრედიტო რისკის მოდელირების ახლებური მიდგომა დაინერგა. ახალი მეთოდოლოგიით, პირველ ეტაპზე სესხების დონეებს შორის გადასვლების მატრიცის მოდელირება ხდება, რომლითაც, საბოლოოდ, მატრიცის ერთი რიცხვით დახასიათება ხორციელდება. მეორე ეტაპი, ისტორიული მატრიცების მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით სატელიტური მოდელის აგებას გულისხმობს, რომელიც მაკროფინანსურ ცვლადებს მატრიცების შეფასებებთან აკავშირებს. მესამე ეტაპი მაკროფინანსური რისკ-სცენარების შესაბამისად სესხების დონეებს შორის გადასვლების მატრიცების მიღებას მოიცავს. მოდელები შინამეურნეობებისა და ბიზნესის სესხების მიხედვით არის ჩაშლილი, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ვალუტაში. ახლებური მიდგომის შესაბამისად განხორციელებული სტრეს-ტესტის შედეგები გამოქვეყნებულია ფინანსური სტაბილურობის 2025 წლის ანგარიშში.
- საბანკო სისტემის მდგრადობისა და მომავალზე ორიენტირებული მაკროპრუდენციული პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, ეროვნული ბანკი 2017 წლიდან, პერიოდულად ატარებს საზედამხედველო “Bottom-up” სტრეს-ტესტებს. ეს უკანასკნელი, საბანკო სისტემის მთავარი გამოწვევების იდენტიფიკაციისა და მიტიგაციის შესაძლო გზების ძიების საშუალებას აძლევს როგორც მარეგულირებელს, ისე თავად კომერციულ ბანკს. შესაბამისად, მძიმე სტრესის მიმართ მოწყვლადი ბანკების გამოვლენა და მათთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი კაპიტალის ბუფერის „წმინდა სტრესს ტესტის ბუფერის“ დაწესება, საბანკო სისტემას საერთო ჯამში უფრო სტაბილურს გახდის. 2025 წელს ჩატარებული “bottom-up” სტრეს-ტესტის შედეგების მიხედვით, ქართული საბანკო სისტემა ჯამურად კაპიტალის საკმარისი ბუფერებით ფუნქციონირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემისთვის არსებული ბუფერები და სტრესის დროს პოტენციურად გამოთავისუფლებადი კონსერვაციის და კონტრცკლური ბუფერები, ასევე, უცხოურ ვალუტაში არაჰეჯირებული საკრედიტო რისკის ბუფერის მესამედი, საკმარისი იქნება სტრესის შედეგად მიღებული დანაკარგების დასაფარად. შესაბამისად, კაპიტალის ჰიპოთეტური მძიმე დანაკარგები სისტემის სტაბილურობას და მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის.

- 2025 წელს განახლდა [სტრეს-ტესტის სახელმძღვანელო](#) და ჩატარდა სტრეს-ტესტის სავარჯიშო. ეროვნული ბანკის მიერ განხორციელდა შედეგების შესწავლა, თუმცა ამ ეტაპზე სტრეს-ტესტის ბუფერი არცერთი ბანკისთვის არ დაწესებულა და კვლავ 0%-ს შეადგენს.
- ეროვნული ბანკის მითითებით კომერციული ბანკების მიერ პერიოდულად ტარდება საზედამხედველო სტრეს-ტესტი, რომლის შედეგები ანალიზდება ეროვნული ბანკის მიერ. სტრეს-ტესტების რაუნდი ციკლურად, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, შედეგების გაანალიზების შემდგომ, საჭიროებისამებრ, ხდება მეთოდოლოგიის დახვეწა.
- ფინანსურ ინსტიტუტებში ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მართვისა და გამართული საოპერაციო გარემოს არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს როგორც რისკების მართვის ეფექტური ჩარჩოს ჩამოყალიბებას, ისე ორგანიზაციის უფრო გამართულ ფუნქციონირებასა და მდგრად განვითარებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ცვლილება შევიდა [„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებაში](#) და დადგინდა კორპორაციულ მართვასა და საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული მოთხოვნები. ცვლილებებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაუდგინდა კორპორაციული მართვისა და საოპერაციო რისკების მართვის მოთხოვნები. ცვლილებებით გათვალისწინებულ იქნა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან არსებული აუდიტის კომიტეტის/სხვა კომიტეტების, დირექტორის/დირექტორატის დაკომპლექტების საკითხები, მათი ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები. დამატებით, [„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში](#) განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, განისაზღვრა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ლარს, ნაცვლად 100 000 ლარისა. ამასთან, რისკის მიტიგაციის მიზნით დადგინდა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული ყველა იმ სესხის ჯამური ოდენობა, რომელიც აღემატება 100 000 ლარს, არ უნდა იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალის 50%-ზე მეტი. ცვლილება შევიდა [„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №58/04 ბრძანებაში](#). ცვლილებებით დაზუსტდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი ცალკეული ნორმები, მათ შორის, სარეგისტრაციო მოთხოვნები, პარტნიორობა/აქციონერთა და ბენეფიციარ მესაკუთრეთა, ისევე როგორც ადმინისტრატორთა მიმართ არსებული მოთხოვნები. ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილების გათვალისწინებით, დაკონკრეტდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციაზე უარისა და რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები. ამასთან, შესაბამისი ცვლილებები შევიდა და დაიხვეწა წესის დანართები. ცვლილებებით განისაზღვრა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოზე ვრცელდება როგორც [„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით](#) დადგენილი მოთხოვნები, ისე „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №143/04 ბრძანებით დადგენილი დამატებითი მოთხოვნები. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება როგორც რისკების მართვის გაუმჯობესებას და გამჭვირვალობის სტანდარტის ამაღლებას, ისე ანგარიშვალდებულების ზრდას და მდგრად განვითარებას. სისტემებისა და პროცესების დახვეწის გზით, არასაბანკო საფინანსო სექტორი კვლავ განაგრძობს განვითარებას და დინამიურ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტაციას. სექტორი აქტიურად ავითარებს დისტანციურ და ონლაინ მომსახურების არხებს, ნერგავს ციფრულ ინოვაციებს და ოპერაციული პროცესების ავტომატიზაციის გზით ზრდის ეფექტიანობას.
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის ცვლილების პროექტი მომზადებულია და ამჟამად განხილვის პროცესშია.



- უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიების დაფინანსებისა და დაუსრულებელი/მშენებარე უძრავი ქონების შესაძენად იპოთეკური სესხების გაცემის პრინციპების თაობაზე გაიდლაინის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მუშაობა დაწყებულია და მეთოდოლოგიური მხარის არსებითი ნაწილი უკვე მომზადებულია. ეროვნული ბანკი აღნიშნულ საკითხზე მუშაობას აგრძელებს.
- ეროვნული ბანკი აქტიურად აკვირდებოდა კომერციული ბანკების პრაქტიკაში კორპორაციული მართვის კოდექსის დანერგვის პროცესს და ახორციელებდა მმართველი ორგანოების საქმიანობისა და კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის მონიტორინგს, მათ შორის, ანაზღაურების პოლიტიკების, სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასებისა და შიდა აუდიტის ფუნქციის მიმართულებით, რომლის შედეგებიც გათვალისწინებულია რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE - General Risk Assessment Program) ფარგლებში.
- 2025 წელს, კორპორაციული მართვის მოთხოვნებთან ბანკების შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ეროვნული ბანკი აქტიურად ეცნობოდა და იკვლევდა ბანკების შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშებს. აღნიშნულის საშუალებით, ერთი მხრივ, ბანკებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება ხდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, თავად შიდა აუდიტის სამსახურის, როგორც დაცვის მესამე ხაზის საქმიანობის ეფექტურობა ფასდებოდა. ბანკების კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკის შეფასება ეროვნული ბანკის რისკების შეფასების საერთო პროგრამის ნაწილია. ჯგუფის სტრუქტურის შეფასება მოიცავს როგორც ბანკის მფლობელობის სტრუქტურას, ინვესტიციებთან დაკავშირებულ რისკებსა და საბანკო ჯგუფის წევრებთან განხორციელებულ ტრანზაქციებს, ისე ბანკების ინვესტიციებისა და საინვესტიციო საქმიანობის რისკების შეფასებას. შეფასების ფარგლებში, ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს საქართველოში წარმოდგენილი საერთაშორისო საბანკო ჯგუფების მშობელ ქვეყნებში განვითარებული პროცესების მონიტორინგსა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ინვესტორების შეფასებას. 2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებდა საბანკო ჯგუფების სტრუქტურის შეფასებასაც, მათ შორის, საქართველოში ლიცენზირებული ბანკების მშობელ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შეფასებას და არსებული რისკების ბანკზე გადმოცემის შეფასებას.
- 2025 წელს საბანკო სექტორის თითოეულმა მონაწილემ მოამზადა გაჯანსაღების გეგმები, რომლებიც მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას ან/და კრიტიკული ფუნქციების შეფერხებისას, კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კრიტიკული ფუნქციების აღსადგენად და შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს აერთიანებს. ეროვნულმა ბანკმა დოკუმენტები თითოეული ბანკის ჭრილში შეისწავლა და მარეგულირებელი წესისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისი უკუკავშირი განახორციელა. ზემოაღნიშნული გეგმების მიმართ მოთხოვნებს გაჯანსაღების ჩარჩოს შემადგენელი შესაბამისი წესი არეგულირებს.
- ეროვნული ბანკის თანავეტორობით, 2020-2023 წლებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შემუშავდა, რომელიც დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება. საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება [„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში](#), [„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონსა](#) და სხვა რამდენიმე ნორმატიულ აქტში. საკანონმდებლო ცვლილებების ამოცანას ეროვნული ბანკის უფლებამოსილების გაფართოება წარმოადგენს, რათა სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების როგორც ლიკვიდაციის, ასევე, გადახდისუუნარობის/გაკოტრების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების საკითხი. აღნიშნული ცვლილებები ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების ერთპიროვნულ უფლებამოსილებას ანიჭებს, რაც ხელს შეუწყობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცესის დროულ და ეფექტიან წარმართვას. აღნიშნული საზედამხედველო სუბიექტების ლიკვიდატორს, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებით ადმინისტრატორს ეროვნული ბანკი დანიშნავს და ისინი ანგარიშვალდებულნი ეროვნული ბანკის წინაშე იქნებიან. კანონპროექტის დამტკიცების შედეგად განმტკიცდება ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართულებით.

საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობა

- 2023 წელს „[მიკრობანკების საქმიანობის შესახებ](#)“ საქართველოს კანონის მიღებისა და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების შედეგად, ეროვნული ბანკის საზედამხებდველო სუბიექტთა ჩამონათვალს დაემატა მიკრობანკი. 2025 წლის 12 თებერვალს ეროვნულმა ბანკმა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „კრისტალზე“ მიკრობანკის საქმიანობის რიგით მეორე ლიცენზია გასცა, რასაც წინ ლიცენზიის მაძიებელი პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაციის შესაფერისობის შემოწმება და ანალიზი უძღოდა. სს „კრისტალი“ მიკრობანკის ლიცენზიის აღებაზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსით ფუნქციონირებდა და ორგანიზაციის ფოკუსი მცირე მეწარმეების დაფინანსება იყო. 2025 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მიკრობანკებთან საზედამხებდველო პროცესი. აღსანიშნავია, რომ მიკრობანკის ლიცენზია ეროვნულმა ბანკმა პირველად 2024 წლის 5 დეკემბერს სს „მიკრო ბიზნეს კაპიტალზე“ (MBC) გასცა.
- საქართველოს პარლამენტის მიერ 2026 წელს მიღებული იქნა „[ფაქტორინგის შესახებ](#)“ საქართველოს კანონი და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი, რის შედეგადაც ფაქტორინგული კომპანია ეროვნული ბანკის ზედამხებდველობას დაექვემდებარა. ეროვნული ბანკი მუშაობს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების გამოცემაზე.
- ეროვნული ბანკის მიერ დაწყებულია მუშაობა ე.წ. ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების განახლებასა და სხვადასხვა თემატიკის ფარგლებში მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარებაზე. აქტუალური საკითხი იყო ციფრულ ბანკად ლიცენზირებისთვის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების სათანადოდ უზრუნველყოფა. 2025 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის კიბერრისკის ზედამხებდველობის გუნდი კვლავ აქტუალურად მონაწილეობდა ციფრული ბანკების როგორც ზედამხებდველობის, ასევე ახალი სუბიექტის ლიცენზირების პროცესში. ციფრული ბანკის ლიცენზიით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია და ინტენსიურად მიმდინარეობს კონსულტაციები.
- ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობისა და გაძლიერების მიზნით ხორციელდებოდა მსოფლო ბანკის შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი.
- ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს დახვეწისა და უნაღდო ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების მიზნით, ძალადაკარგულად გამოცხადდა მოქმედი „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანება და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის №167/04 ბრძანებით დამტკიცდა ახალი „[ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესი](#)“. მომხმარებელთა მომსახურების დივერსიფიკაციის, ოპერაციების გამჭვირვალობის ზრდისა და ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაძლიერების მიზნით, 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრა ახალი ტიპის საქმიანობის ნებართვა უნაღდო ფორმით ვალუტის გაცვლის ოპერაციების განხორციელებისთვის და შეიმუშავა შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩოს ფარგლებში, ცალკეული ნებართვის მეშვეობით მკაფიოდ გაიმიჯნა ნაღდი და უნაღდო ფორმით ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის რეგულირების საკითხები, რაც უზრუნველყოფს ბაზრის უფრო სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე ფუნქციონირებას.
- 2025 წელს გასაჯაროვდა გზამკვლევი „[სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებები კონცენტრაციების კონტროლის დროს](#)“. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებით შესრულდა საფინანსო სექტორში კონკურენტული გარემოს შექმნის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისიის მიერ განხორციელებული FSAP პროგრამის ფარგლებში გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება კონცენტრაციების კონტროლის დროს სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შესახებ შესაბამისი გზამკვლევი დოკუმენტის მომზადებას.

- მიმდინარეობს მუშაობა ეროვნული ბანკის მიერ რეგულაციის ზეგავლენის შეფასების განხორციელების მეთოდოლოგიაზე (RIA). აღნიშნული მეთოდოლოგიის შემუშავება და შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა კონკურენციაზე გავლენის შეფასების ტრილში FSAP პროგრამის ფარგლებში მიღებულ რეკომენდაციათაგან ერთ-ერთია. თუმცა, საგულისხმოა, რომ ეროვნული ბანკის ინიციატივით, აღნიშნული მეთოდოლოგიის მოქმედების სფერო უფრო ფართოდ მოიაზრება, ვიდრე მხოლოდ კონკურენციაზე გავლენის შეფასებაა.
- 2025 წელს კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანად აღსრულებისა და წარმართვის მიზნით გაღრმავდა თანამშრომლობა ქვეყნის შიგნით არსებულ ინსტიტუტებთან. თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ერთობლივი ღონისძიებები და გაძლიერდა კოორდინირებული საქმიანობა. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, 2025 წლის 13-15 ნოემბერს საქართველოში ჩატარდა IV საერთაშორისო კონფერენცია „კონკურენცია და მომხმარებლის უფლებების დაცვა“, რომელიც გაიმართა სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, ეროვნული ბანკის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისა და კომუნიკაციების კომისიის ერთობლივი ორგანიზებით. კონფერენცია დაეთმო კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერების, მიღებული შედეგებისა და გამოწვევების განხილვის, ასევე, მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების საკითხებს.
- 2025 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 7 მარტის №60/04 ბრძანებით განხორციელდა [ცვლილებები](#) „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწესას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“, რომლის მიხედვით, სესხის/კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში წინსწრებით დაფარვაზე დაწესებული საკომისიო განისაზღვრა შემცირებული ოდენობით (არაუმეტეს 0,5%-ისა შესაბამის შემთხვევებში). აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2025 წლის 1 მაისიდან.
- ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მიზნით, ბაზარზე არსებული გამოწვევების დაკვირვების შედეგად, ეროვნული ბანკი 2025 წელსაც აგრძელებდა მისი ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების დისტანციურ და თემატურ შემოწმებებს.
- ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მუშაობა ევროკავშირის იპოთეკური სესხების დირექტივის გარკვეული მოთხოვნების მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში ასახვასთან დაკავშირებით, მათ შორის, იპოთეკური სესხების ხელშეკრულებების სტანდარტიზაციაზე, რაც 2026 წელსაც გაგრძელდება. დამატებით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, 2025 წლის იანვრიდან ეროვნული ბანკის [ვებგვერდზე](#) ქვეყნდება ინფორმაცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ფინანსური ორგანიზაციების მიმართ გამოყენებული სანქციების (ფულადი ჯარიმა) შესახებ. აღნიშნული ხელს უწყობს საზოგადოებაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული დარღვევების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და, ასევე, ხელს უწყობს ფინანსური ორგანიზაციების მოტივაციის ზრდას უკეთ შეესაბამებოდნენ არსებულ მარეგულირებელ მოთხოვნებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება საფინანსო სექტორის მიერ შეთავაზებული პროდუქტების მომხმარებელთა ინტერესებსა და საჭიროებებთან შესაბამისობის კრიტერიუმების განსაზღვრა. აღნიშნული, მათ შორის, გამოწვევაა მსოფლიო მასშტაბით და მნიშვნელოვანია როგორც მომხმარებელთა დაცვისთვის, ასევე, ფინანსური ორგანიზაციების რისკების მართვისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მომხმარებელზე მორგებული პროდუქტების შექმნის კრიტერიუმების განმსაზღვრელი გზამკვლევის შემუშავებაზე, რისი დასრულებაც 2026 წელს იგეგმება.

ფინანსური ინოვაციების წახალისება და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება

- საფინანსო სექტორში ინოვაციების და ინოვაციური ორგანიზაციების წილი მზარდია, რასაც, როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე ახალი რისკებიც მოაქვს. პარალელურად, საფინანსო სექტორი მთელ მსოფლიოში ეკონომიკის ყველაზე მეტად რეგულირებად სექტორად რჩება. უფრო მეტიც, ამ რეგულირებას მზარდი ტენდენცია აქვს. შედეგად, თანამედროვე საზედამხედველო ჩარჩო საკმაოდ მოცულობითი, ტექნიკური და კომპლექსურია, განსაკუთრებით ახალი საფინანსო სტარტაპებისთვის. აღნიშნულის ფონზე, საფინანსო სექტორის მარეგულირებლებისათვის ფინტექ იდეების მქონე ინოვაციორების წახალისება და ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, ეროვნული ბანკი სხვადასხვა საზედამხედველო მიდგომას ავითარებს და ფინტექ საქმიანობისათვის საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნას უწყობს ხელს.
- 2025 წლის განმავლობაში ფინანსური ინოვაციების ოფისის ფარგლებში ასამდე პირს გაეწია დახმარება და კონსულტაცია, ასევე ჩატარდა მნიშვნელოვანი შეხვედრები ინოვაციური იდეების მქონე პირებთან. შეიქმნა ინოვაციების ოფისის შიდა რეესტრი, სადაც დეტალურად ხდება აღნიშნული შეხვედრებისა და გაწეული კონსულტაციების აღრიცხვა და შემდგომი ანალიზი. ფინანსურ სექტორში არსებულ ინოვაციებთან დაკავშირებით ინოვაციების ოფისი წლის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, არსებული სიახლეების და საზედამხედველო მიდგომების გასაცნობად.
- 2025 წელს რეგულირების ლაბორატორიის „რეალურ გარემოში ტესტირების“ ეტაპზე გადავიდა ორი ახალი სუბიექტი, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ განსხვავებული შინაარსის ინოვაციური პროექტები. აღნიშნული პროექტები მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა კრიპტოვალუტით უზრუნველყოფილი სესხები და ონლაინ ვალუტის გადაცვლის სერვისი. ამასთან, 2025 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამიზნე სენდბოქსების ინიცირებას. აქტიური ბაზრის კვლევისა და საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლის საფუძველზე გამოცხადდა სამიზნე სენდბოქსები ტოკენიზებული დეპოზიტების, სახალხო დაფინანსების (crowdfunding) და ხელოვნური ინტელექტის (AI) მიმართულებით. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს სხვა, ახალი მიმართულებებით, მათ შორის, ტოკენიზებული ბონდების სენდბოქსის გამოცხადებაზე მუშაობა.
- ეროვნულმა ბანკმა ფინტექის განვითარების 2027-2031 წლების ეროვნული სტრატეგიის პროექტი მოამზადა. სტრატეგიის მიზანია დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, რათა თანმიმდევრული და კოორდინირებული ნაბიჯები გადაიდგას ინკლუზიური და ინოვაციური ფინტექ ეკოსისტემის განვითარებისკენ. სტრატეგია მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით მომზადდა. საქართველოს ფინტექ სტრატეგიის ხედვა ფინტექისთვის ხელსაყრელი რეგულაციური გარემოსა და თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებას გულისხმობს, რაც ფინანსურ სერვისებში პასუხისმგებლიან ინოვაციებსა და კონკურენციას წახალისებს და დაეხმარება საქართველოს, გახდეს წამყვანი ფინტექ ჰაბი შუა დერეფნის რეგიონში.
- 2025 წელს გაგრძელდა საკრედიტო რეესტრის მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუშაობა, მათ შორის, მონაცემთა ვალიდაციისა და კონტროლის მექანიზმების გაძლიერება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მონაცემთა სისრულისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რეესტრში ასახული ინფორმაციის სანდოობა. ასევე, წლის განმავლობაში საკრედიტო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით მზადდებოდა სხვადასხვა ანგარიშგებები, ანალიტიკური და საზედამხედველო რეპორტები კონკრეტული საჭიროებებისთვის.
- საფინანსო სექტორში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა სტატისტიკური მოდელების გამოყენება სულ უფრო ფართო სახეს იძენს. ასეთი მოდელები სესხის გაცემის, კლიენტის საკრედიტო რისკის პროფილის შესწავლის, ფინანსური დანაკარგების შეფასების და რისკების მართვის პროცესებში ფართოდ გამოიყენება. განსაკუთრებით იზრდება სტატისტიკური

მოდელის გამოყენება საცალო, მიკრო და მცირე ბიზნესის სექტორის დაკრედიტებისას. ბოლო დროს ისეთი მოდელების დანერგვა გახშირდა, რომლებიც მანქანური სწავლების და ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს ეფუძნება. ეს, ერთი მხრივ, მოდელის ეფექტიანობას ზრდის, მაგრამ მეორე მხრივ, შედეგების ინტერპრეტაციას, ანალიზს და რისკის შეფასებას ართულებს. სექტორში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, დღის წესრიგში მოდელის ეთიკური გამოყენების ჩარჩოს შემუშავების აუცილებლობა დადგა. საპასუხოდ, დებულებაში მოდელის განვითარების, დანერგვისა და გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი ეთიკის პრინციპები და მოდელის შესაძლო არაეთიკური გამოყენების შემცირების გზები განისაზღვრა. ეს ცვლილება ძირითადად მომხმარებელზეა გამიზნული. ეთიკის პრინციპების გარეშე აგებულმა მოდელმა შესაძლოა მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფი უსამართლოდ დააკლასიფიციროს და მისი უფლებები შეზღუდოს. მეორე ცვლილება რისკზე დაფუძნებული მიდგომის გაფართოებას ეხება – დებულების ცვლილების ფარგლებში, შემუშავდა რისკიანობის მიხედვით მოდელების რანჟირების/დაჯგუფების მეთოდოლოგია. მესამე ცვლილება ეხება მოდელის გამოყენებელი სუბიექტების მიერ სტატისტიკური მეთოდის საშუალებით მოდელის გამჭვირვალობისა და ინტერპრეტირებადობის უზრუნველყოფას. განსაკუთრებით საყურადღებოა ე.წ. Large Language Model (LLM) და Natural Language Processing (NLP) ტექნიკებზე დაფუძნებული ჩატბოტების და ვირტუალური ასისტენტების დანერგვის მზარდი ტემპი. 2026 წელს დაგეგმილია დებულების განახლება და დამატებითი მოთხოვნების გაწერა მომხმარებელთა დაცვის, მონაცემთა კონფიდენციალურობისა და მოდელის სანდოობის უზრუნველსაყოფად, როგორიცაა მომხმარებლის ინფორმირება AI-სთან ინტერაქციის შესახებ, ადამიანის ჩართულობა მაღალი რისკის შემთხვევაში, მცდარი პასუხების პრევენცია, კონტროლირებადი მონაცემთა წყაროების გამოყენება, უსაფრთხოების ტესტირება, უწყვეტი მონიტორინგი, გამოყენების მკაფიო საზღვრების განსაზღვრა, მესამე მხარის მოდელების შეფასება და მოდელის ფუნქციონირების, შეზღუდვებისა და რისკების სათანადო დოკუმენტირება.

- ღია ბანკინგის პროექტზე მუშაობა ეროვნულ ბანკში 2019 წელს დაიწყო. 2020 წლის დასაწყისში საქართველოს საბანკო ასოციაციის ფარგლებში შეიქმნა ღია ბანკინგის კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვისთვის საჭირო საერთო სტანდარტის შემუშავება და პროექტის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. 2021 წლის 31 მარტიდან საქართველოში ღია ბანკინგის სერვისები უკვე ხელმისაწვდომია. 2024 წლის ჩათვლით დაინერგა შემდეგი API სერვისები: საგადახდო ანგარიშების ინფორმაციის გაცვლა, გადახდის ინიცირების სერვისი, ღია ბანკინგის გამოყენებით დისტანციური იდენტიფიკაციის განხორციელების სერვისი, მასობრივი გადახდების (Bulk Payments) სერვისი, მრავალჯერადი/განმეორებითი გადახდების ინიცირების სერვისი, მომავლის თარიღით გადახდის ინიცირების სერვისი, ცვლადი განმეორებადი გადახდები, დეპოზიტებზე ინფორმაციის გაზიარების სერვისი და სესხებზე ინფორმაციის გაზიარების სერვისი. 2025 წელს კვლავ გრძელდებოდა აქტიური მუშაობა საქართველოში როგორც ღია ბანკინგის სერვისების გაფართოების, ასევე, ფინტექ კომპანიების ღია ბანკინგში ჩართვის მიმართულებით. 2025 წელს ღია ბანკინგში ჩართვაზე ეროვნული ბანკისგან ოფიციალური თანხმობა 4-მა არასაბანკო სუბიექტმა მიიღო. პარალელურად, სერვისების შემდგომი განვითარების მიზნით, 2025 წლის დეკემბერში დასრულდა მუშაობა 2 ახალი API სერვისის ტექნიკურ სტანდარტზე. აღნიშნული სერვისებია: რესურსის სტატუსის შეტყობინების (Resource Status Notification) API სერვისი და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურებაში შეტყობინებების API სერვისი (Push Account Information Service), რომელთა დანერგვაც იგეგმება 2026 წლის განმავლობაში. ახალი API სერვისები საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით ხორციელდება და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ფინანსური ეკოსისტემის მოდერნიზაციაში, მათ შორის, კონკურენტუნარიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდაში. გარდა ამისა, ახალი API სერვისების დანერგვა, ასევე, ხელს შეუწყობს განსხვავებული ბიზნეს მოდელების შექმნას. მიმდინარეობს კონსულტაციები საბანკო/არასაბანკო სექტორთან და მოთხოვნის შესაბამისად განისაზღვრება ახალი API სერვისები. წინა წლების მსგავსად, 2025 წელსაც ღია ბანკინგის შესაძლებლობებისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით არაერთი ინდივიდუალური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ როგორც, ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სუბიექტები, ასევე, ფინტექ კომპანიები, რაც ხელს უწყობს ღია ბანკინგის ეკოსისტემის ფორმირებას და მონაწილე

სუბიექტებისთვის ღია ბანკინგის სარგებელზე ინფორმაციის მიწოდებას.

- ღია ბანკინგის მიმართ ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა არასაბანკო სექტორში. 2025 წელს ღია ბანკინგში ჩაერთო ოთხი არასაბანკო სუბიექტი, ორჯერ მეტი ვიდრე წინა წელს. ეს ტენდენცია ცხადყოფს, რომ ღია ბანკინგის სერვისები სულ უფრო მოთხოვნადი ხდება სხვადასხვა ტიპის ფინანსური მომსახურების პროვაიდერებისთვის. ასევე, 2025 წელს დაიწყო ღია ბანკინგის API სერვისების მესამე მხარის პროვაიდერების მხრიდან გამოყენების ჯამური სტატისტიკური მონაცემების ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები, განსაკუთრებით გადახდის ინიცირების სერვისის და მომხმარებლის იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის (Onboarding) სერვისის სტატისტიკური მონაცემები, მთელი წლის განმავლობაში უმეტესწილად სულ მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2025 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, ღია ბანკინგის სერვისების 8,385,506 ჯამური გამოყენება დაფიქსირდა. ეს მასშტაბი ადასტურებს, რომ სისტემა მყარ და საიმედო ფუნდამენტად ჩამოყალიბდა, რომელიც ყოველდღიური ციფრული სერვისების შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს.
- ღია ბანკინგის განვითარების შემდეგი ეტაპი ღია ფინანსებზე გადასვლაა, რაც ღია ბანკინგის კონცეფციის სხვა არასაბანკო სექტორებზე გავრცელებას და მეტად ფართო ფინანსური მონაცემების მიმოცვლას მოიაზრებს. ღია ფინანსები საშუალებას მისცემს მომხმარებლებს, არა მხოლოდ საბანკო ანგარიშების, არამედ დაზღვევის, ინვესტიციების, საპენსიო ფონდებისა და სხვა ფინანსური სერვისების მონაცემების მართვისა და გამოყენების შესაძლებლობა ჰქონდეთ ერთიან, უსაფრთხო და რეგულირებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში. 2025 წელს კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში შევიდა მუშაობა ღია ფინანსების დანერგვის მიმართულებით, გაიმართა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ორგანიზაციასთან, ასევე დონორ ორგანიზაციებთან, მათ შორის, მსოფლიო ბანკთან. შედეგად, აღნიშნული პროექტის ხელშეწყობის მიზნით დაიწყო ღია ფინანსების განვითარებისთვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების მისაღებად საერთაშორისო ტენდერის მოსამზადებელი სამუშაოები. აღნიშნული ტენდერის ფარგლებში იგეგმება საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა ღია ფინანსების განვითარებისთვის საჭირო საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებების პაკეტის, ასევე ღია ფინანსების მოდელის და ეკოსისტემის არქიტექტურის დიზაინის შემუშავებისთვის. ეროვნული ბანკი განაგრძობს ღია ბანკინგის/ფინანსების ეკოსისტემის გაძლიერებას, მონაცემთა უსაფრთხოებისა და რეგულირების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ფინანსური სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციასა და ინოვაციური სერვისების განვითარებას.
- 2025 წელს მნიშვნელოვანი განახლება განხორციელდა FINREP ანგარიშგების მიმართულებით, კერძოდ, განხორციელდა გადასვლა XBRL ტაქსონომიის 3.2 ვერსიაზე, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა უფრო დეტალურ და შესაბამის სტრუქტურირებას ევროკავშირის სტანდარტებთან. ამასთან, განახლდა მწვანე სესხების ანგარიშგების ტაქსონომიაც და დაიწყო ახალი ვერსიის საფუძველზე მონაცემების მიღება, რაც გარემოსდაცვითი მიმართულებით მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის გაძლიერებას ემსახურება. IFRS სტანდარტით ანგარიშგებების მიღება კვლავ რჩებოდა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად. კომერციული ბანკების მხრიდან საზედამხედველო მონაცემი მიიღებოდა ტრადიციული ფორმატით, ნაწილი კი - XBRL ფორმატით. პარალელურად, გრძელდებოდა ადგილობრივი ანგარიშგებებისათვის XBRL ტაქსონომიის განვითარება, რაც ხელს უწყობს მონაცემთა სტანდარტიზაციის გაღრმავებასა და რეგულაციური მოთხოვნების უფრო გამჭვირვალე შესრულებას. საზედამხედველო პროცესების გაუმჯობესების მიზნით, ეროვნული ბანკი აგრძელებდა შიდა დეველოპმენტით შექმნილი აპლიკაციის განვითარებას. აღნიშნული პლატფორმა უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავებას, ანალიზსა და საზედამხედველო საქმიანობის ეფექტიან მართვას, ხოლო მისი უწყვეტი განახლება ზრდის სისტემის მოქნილობასა და ფუნქციურ შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული მონაცემთა ანალიზის მიმართულებით. განხორციელდა სესხების შესახებ გრანულარული მონაცემების შეგროვება, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს მონაცემთა უფრო ღრმა და დეტალური ანალიზი. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა დემოორდეები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება საზედამხედველო პროცესში და ხელს უწყობს რისკების დროულ იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტილებების მიღებას. Power BI პლატფორმის გამოყენება კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიტიკის

პროცესებში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მოქნილ, ინტერაქტიულ და მომხმარებელზე მორგებულ წარმოდგენას.

- ეროვნული ბანკი 2025 წელს აქტიურად მუშაობდა ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა ანალიტიკის ინსტრუმენტების საზედამხედველო პროცესებში ინტეგრაციის მიმართულებით, რაც ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს Text-to-SQL მოდელის შემუშავება, რომელიც მომავალში საშუალებას მისცემს ანალიტიკოსებსა და საზედამხედველო სპეციალისტებს ბუნებრივი ენის გამოყენებით მოიძიონ და დაამუშავონ სტრუქტურირებული მონაცემები მონაცემთა ბაზებიდან SQL-ის ღრმა ცოდნის გარეშე, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. მიმდინარე ინიციატივები ერთობლიობაში მიმართულია ინტეგრირებული AI-ზე გამდიდრებული საზედამხედველო ეკოსისტემის ჩამოყალიბებისკენ, რაც ხელს შეუწყობს მონაცემთა სტანდარტიზაციასთან და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული ეროვნული ბანკის სტრატეგიულ მიზნებს.
- საზედამხედველო პროცესების გაციფრულება და საზედამხედველო ტექნოლოგიების (SupTech) განვითარება ეროვნული ბანკის ერთ-ერთ განგრძობით მიმართულებას წარმოადგენს.
- ეროვნული ბანკი აგრძელებდა ხელოვნური ინტელექტის (AI) მიმართულებით კვლევით საქმიანობას და AI ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას. წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკში შეიქმნა AI ვებპლატფორმა, რომელიც ამ ეტაპზე სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს და მოიცავს სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის, რეგულაციების ანალიზისთვის განკუთვნილ ჩატბოტს, ვებ-სქრეიფინგის მოდულებსა და სენტიმენტ-ანალიზის ინსტრუმენტებს. პარალელურად, ფინანსური ინსტიტუტებიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია მათ მიერ გამოყენებული AI მოდელების შესახებ და განხორციელდა აღნიშნული მოდელების ინვენტარიზაცია. შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია მოდელების დეტალური ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, ახალი რისკების იდენტიფიცირების გათვალისწინებით, მოდელის რისკის მართვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ჩარჩოს განახლება.
- 2025 წელს, DLT ტექნოლოგიის მიმართულებით, ციფრული ლარის პროექტის ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა დაასრულა 18-თვიანი საპილოტე პროექტი, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა პროგრამირებადი გადახდების მექანიზმის გამოცდა. მომდევნო პერიოდში ეროვნული ბანკი მოამზადებს ახალ რეპორტს, რომელიც მიზანმიმართული იქნება პილოტის ფარგლებში მიღებული შედეგების ინტერპრეტირებაზე და ციფრული ლარის პროექტის შემდეგი ნაბიჯების განსაზღვრაზე.
- ეროვნულ ბანკში IFRS 9 სტანდარტის შემოღებასთან დაკავშირებით საფინანსო ინსტიტუტებში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვის მოდელები ინერგება. მოდელის სირთულიდან და ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგავლენიდან გამომდინარე, ეს მოდელები მაღალი რისკის მატარებელია. 2025 წელს გაგრძელდა მოდელებისა და შესაბამისი მეთოდოლოგიების სიღრმისეული ანალიზი, რომლის ფარგლებში აქტიურად ხორციელდებოდა იმ პოტენციური ხარვეზების იდენტიფიკაცია და შეფასება, რომლებიც შესაძლოა წარმოშობდეს მოდელურ რისკებს. ეს პროცესი განგრძობითია და 2026 წელის მიზნებში გაწერილია ბანკების მიერ მოდელებში განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების შეფასება.
- „ჩამენებული ფინანსების“ წახალისების მიზნით, ეროვნული ბანკი განაგრძობდა სექტორთან მუდმივ კომუნიკაციას, შესაძლებლობების გაცნობის მიზნით. აღნიშნული განგრძობითი პროცესია, რომელსაც ეროვნული ბანკი ახორციელებს ღია ბანკინგისა და ღია ფინანსების მიმართულებების გაძლიერებით, ასევე რეგულირებად და არარეგულირებად სუბიექტებთან აქტიური შეხვედრებითა და ცნობიერების ამაღლებით. სიახლეების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ასევე მზადაა გამოიყენოს რეგულირების ლაბორატორია.
- 2025 წელს გაგრძელდა საკრედიტო რეესტრის მონაცემების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუშაობა, მათ შორის, მონაცემთა ვალიდაციისა და კონტროლის მექანიზმების გაძლიერება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მონაცემთა სისრულისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რეესტრში ასახული ინფორმაციის სანდოობა. წლის განმავლობაში, საკრედიტო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით მზადდებოდა სხვადასხვა ანგარიშგებები, ასევე ანალიტიკური და საზედამხედველო რეპორტები კონკრეტული საჭიროებებისთვის.

საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება

- მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასევე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, ეროვნულ ბანკში აქტიურად ფუნქციონირებს საბაზრო ქცევის ზედამხედველობის მიმართულება, რომლის ძირითად ამოცანას ფინანსური სექტორის მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების გაძლიერება წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულებით, ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა [საბაზრო ქცევის ზედამხედველობის სტრატეგია](#).
- ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია მდგრადი ფინანსური სისტემა, რომელიც გულისხმობს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვას და, ამასთანავე, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. ეროვნული ბანკი 2017 წლიდან მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებაზე აქტიურად მუშაობს. 2025 წელს, პირველი მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის წარმატებით განხორციელების შემდგომ, ეროვნულმა ბანკმა [მდგრადი დაფინანსების მეორე გზამკვლევი](#) გამოაქვეყნა, რომელიც 2025-2028 წლებისთვის ეროვნული ბანკის ძირითად პრიორიტეტებს და სამოქმედო გეგმას განსაზღვრავს.
- 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების რიგით მეხუთე [ანგარიში](#) გამოაქვეყნა. ანგარიშში წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციების, გატარებული პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების მიმოხილვა. 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა, ინვესტორთა საბჭოს, კომერციული ბანკებისა და საბანკო ასოციაციის თანამშრომლობით, ქალი მენარმეს (ქალების საკუთრებაში არსებული და ქალების მიერ მართული საწარმოს) განმარტება და ანგარიშების ფორმა შეიმუშავა. აღნიშნულ ინიციატივა მიზნად ისახავს ბანკებისგან საწარმოების დაფინანსების შესახებ სქესის ნიშნით ჩაშლილი მონაცემების სისტემურ შეგროვებას. კომერციულმა ბანკებმა პირველი ანგარიშები 2024 წლის მონაცემების საფუძველზე მოამზადეს, ხოლო 2026 წლიდან რეგულარული კვარტალური ანგარიშგება დაიწყება, რაც სქესის ნიშნით ჩაშლილი საწარმოთა მონაცემების უწყვეტ მონიტორინგსა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. პარალელურად, 2025 წელს, მდგრადობის ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების განვითარებების ასახვის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა ESC საკითხების გამჟღავნების არსებული ფორმის განახლება დაიწყო. განახლებული გამჟღავნების ფორმა წამყვან საერთაშორისო სტანდარტებსა და ჩარჩოებს შეესაბამება. განახლებული ფორმით ანგარიშგება 2026 წელს დაიწყება და ანგარიშები ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნდება. ამასთან, 2025 წლის განმავლობაში, ეროვნული ბანკი მწვანე სესხების მონაცემთა დაფის განვითარებაზე მუშაობდა. აღნიშნული ინიციატივა გააუმჯობესებს მწვანე სესხების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობასა და გამოყენებადობას დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრისთვის, მათ შორის, პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ფინანსური ინსტიტუტებისა და მკვლევრებისთვის. მწვანე სესხების მონაცემთა დაფა ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე 2026 წელს გამოქვეყნდება.
- აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ეროვნულმა ბანკმა [მწვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესი](#) დაამტკიცა და ფინანსური გირავნობის მართვის დებულების ფარგლებში მონეტარული პოლიტიკის ოპერაციების უზრუნველყოფაში მწვანე აქტივები დაამატა.
- ეროვნული ბანკი განგრძობითად მუშაობდა საანგარიშგებო ჩარჩოს განვითარებაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ევროპის საანგარიშგებო ჩარჩოს და ადგილობრივი საზედამხედველო საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავდა FINREP ფინანსური ანგარიშგების უახლეს ტექსონომიაზე გადასვლისთვის სამუშაოების ჩატარებას, რომლის შესაბამისადაც ბანკები ანგარიშგებას გააგრძელებენ 2026 წლიდან.
- 2025 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 აპრილის №99/04 ბრძანებით დამტკიცებული [„საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ცალკეული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების წესი“](#) ამოქმედდა. წესის მიზანია ხელი შეუწყოს საფინანსო სექტორის


გამჭვირვალობას და აღნიშნულ სექტორში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის პრევენციას. აღნიშნული წესი არეგულირებს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ცალკეული ღონისძიებების, კერძოდ, ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ცალკეული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების საკითხებს. გათვალისწინებული მოთხოვნები ეფუძნება რელევანტურ სექტორულ ევრო დირექტივებს, მათ შორის, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივას „საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობასთან წვდომისა და საკრედიტო დაწესებულებებისა და საინვესტიციო კომპანიების პრუდენციული ზედამხედველობის შესახებ“ (CRD Directive).

- ეროვნულმა ბანკმა 2021 წლიდან კომერციული ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის ჩარჩოს განვითარებასა და იმპლემენტაციაზე დაიწყო მუშაობა. აქტიური სამუშაოები გაგრძელდა 2025 წლის განმავლობაშიც, რა დროსაც ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. მსოფლიო ბანკის გუნდმა, მისიის ფარგლებში, სამუშაო შეხვედრები გამართა ეროვნული ბანკის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის, მათ შორის, რეზოლუციისა და ლიკვიდაციის განყოფილების, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა ფინანსური სისტემის მდგრადობის განმტკიცებაზე, კრიზისების პრევენციასა და მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე, სარეზოლუციო ჩარჩოს სრულყოფაზე.
- 2023 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ დაამტკიცებული სარეზოლუციო ფონდთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, კომერციულ ბანკებს განესაზღვრათ ვალდებულება სარეზოლუციო ფონდში განახორციელონ წინასწარი შენატანები/კონტრიბუციები (ex-ante ფონდი) კანონით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულის მისაღწევად, კერძოდ:
 - ფონდის სამიზნე ნიშნული: დაზღვეული დეპოზიტების 3%;
 - შენატანები: ბანკებმა შენატანების განხორციელება დაიწყეს 2025 წლიდან;
 - სამიზნე ნიშნულის მისაღწევად საჭირო ვადა: 8 წელი (შესაძლოა შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ ფონდში არსებული თანხა იქნება გამოყენებული ან გაიზრდება დეპოზიტების დაზღვევის ლიმიტი);
 - შენატანების მეთოდოლოგია: სისტემაში კომერციული ბანკების აქტივების წილის პროპორციულად, ინდივიდუალური რისკ პროფილის გათვალისწინებით.
- ეროვნული ბანკის მიერ სისტემური ბანკებისთვის 2024 წლიდან ამოქმედებული დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის (MREL) ფარგლებში, 2025 წელს გაგრძელდა აღნიშნული ჩარჩოს დანერგვა და მონიტორინგი. მოთხოვნის მიზანია სისტემური ბანკების მიერ ისეთი ბალანსური სტრუქტურის შენარჩუნება, რომელიც რეზოლუციის შემთხვევაში ბანკის ეფექტიან რეკაპიტალიზაციასა და კრიტიკული ფუნქციების უწყვეტობას უზრუნველყოფს. MREL-ის მოთხოვნა სისტემური ბანკებისთვის ეტაპობრივად იზრდება და განსაზღვრულია შემდეგი ვადებით:
 - 2024 წლის 1 იანვრიდან 10%-ის ოდენობით;
 - 2025 წლის 31 დეკემბრიდან 15%-ის ოდენობით;
 - 2027 წლის 31 დეკემბრიდან 20%-ის ოდენობით.

მოთხოვნის შესაბამისად, სისტემური ბანკები ეროვნულ ბანკს ყოველთვიურად წარუდგენენ MREL-ის ანგარიშგებას. 2025 წლის ბოლოს მდგომარეობით, კომერციული ბანკების MREL-თან ადეკვატურობის მაჩვენებლები და სისტემაში არსებული MREL ინსტრუმენტები შემდეგნაირად გამოიყურება:

GEL	31/12/2025	31/12/2025	31/12/2025
	თიბისი ბანკი	საქართველოს ბანკი	ლიბერთი ბანკი
MREL რესურსი	8,678,919,525	8,660,240,126	769,731,379
საზედამხედველო კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები (TLOF)	38,715,693,719	42,247,911,662	5,932,047,606
%	22.42%	20.50%	12.98%

- ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს პრუდენციული მოთხოვნების კონსოლიდირებულ დონეზე დაწესების მიმართულებით, რაც საბანკო ჯგუფის კონსოლიდირებული ზედამხედველობის ეფექტიანი ჩარჩოს შექმნას ისახავს მიზნად. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში მიმდინარეობს შესაბამისი ევროსტანდარტებისა და რელევანტური ქვეყნების პრაქტიკის ანალიზი, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, მათ შორის, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტისა და ევროკავშირის სტანდარტებისა და მიდგომების გათვალისწინება. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეროვნული განაგრძობს კვლევით და მეთოდოლოგიურ საქმიანობას საზედამხედველო მიდგომების განსაზღვრისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების მიზნით. ამ პროცესის მხარდასაჭერად, IMF-ის პარტნიორობით, 2025 წელს ჩატარდა ტექნიკური დახმარების მისია. საბანკო ჯგუფის კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოს შემუშავებასა და დანერგვაზე მუშაობა 2025 წლის შემდგომაც გაგრძელდება.
- 2025 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა [„კონტრაჰენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ დებულება“](#). აღნიშნული დებულება ეფუძნება „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ და 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული მოთხოვნების შესახებ 575/2013 რეგულაციის მიერ დადგენილ კონტრაჰენტის რისკის მართვის ჩარჩოს. განახლებული მიდგომა უფრო ზუსტად ასახავს როგორც დერივატივის ინჰერენტულ რისკებს, ასევე, კონტრაჰენტის საკრედიტო რისკს. დამატებით, ბრძანების პროექტი მოიცავს კონტრაჰენტის საკრედიტო რისკის განსაზღვრის 3 მეთოდოლოგიას დერივატივების მოცულობიდან გამომდინარე და აქტივებთან მიმართებაში დერივატივების მცირე მოცულობის შემთხვევაში კომერციულ ბანკს ან მიკრობანკს შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს შედარებით გამარტივებული მიდგომა. აღსანიშნავია, რომ ახალ დებულებაზე მუშაობა მიმდინარეობდა სექტორთან და საბანკო ასოციაციასთან კონსულტაციებით და შემუშავებული მოდელის დანერგვისთვის ბანკებს ჰქონდათ წელიწადზე მეტი დრო.
- მიმდინარეობს მუშაობა საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის ჩარჩოს განახლებაზე, სექტორის ჩართულობით.
- 2025 წელს ცვლილება შევიდა [პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესში](#). კერძოდ, წესით ისედაც განსაზღვრული იყო ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებისამებრ, პერიოდულად, კომერციული ბანკის რისკის პროფილისა და სხვადასხვა სტრუქტურული სიტუაციების აღბათობის ან/და რეალიზაციის შედეგად შეცვალოს კომერციული ბანკისათვის დაწესებული ბუფერები, რაც გულისხმობს ეროვნული ბანკის უფლებას - გადაწყვეტილება მიიღოს ინდივიდუალური შემთხვევების ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბუფერების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს ცალკეული გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე, წესიდან წაიშალა ის პუნქტები, რომელთა მიხედვით პილარ 2-ის ფარგლებში კაპიტალის მოთხოვნის შემცირების მოცულობა დაითვლება კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული მეთოდოლოგიით.
- 2025 წელს ცვლილება შევიდა [„კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებამი](#). ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიერ კანონმდებლობის, მათ შორის, მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის შესაბამისი საზედამხედველო ზომების და სანქციის - ფულადი ჯარიმის გამოყენება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში დამკვიდრებული და აპრობირებული პრაქტიკაა. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად მიიჩნევა, რომ მარეგულირებელი ორგანოს მიერ ამა თუ იმ დარღვევისთვის განსაზღვრული ფულადი ჯარიმა უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და ჰქონდეს პრევენციული ეფექტი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ფულადი ჯარიმა განისაზღვროს როგორც დარღვევის, ისე საზედამხედველო სუბიექტის ზომის და გავლენის დონის პროპორციულად.



ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განხორციელებული ცვლილება მიზნად ისახავდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას და ფულადი ჯარიმის შესაძლო მაქსიმალური ოდენობის გაზრდას, ისეთი მნიშვნელოვანი შემთხვევებისთვის, როდესაც სახეზეა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან ეროვნული ბანკის შესაბამის სამართლებრივ აქტზე თანდართული ნებისმიერი პირობის ან შეზღუდვის დარღვევა და მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის, ეროვნული ბანკის ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება) ან/და ეროვნული ბანკის მოთხოვნებითა და წერილობითი მითითებით აკრძალული ოპერაციების წარმოება ან/და დაწესებული შეზღუდვების, ლიმიტების, მოთხოვნების და აკრძალვების შეუსრულებლობა. კერძოდ, ჩამოთვლილ შემთხვევებში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, კომერციული ბანკს დააკისროს ფულადი ჯარიმა დარღვევის გამოვლენის მომენტისათვის ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული საზედამხედველო კაპიტალის 0.01%, 0.05%, 0.1%, 0.5% ან 1%-ის ოდენობით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ფულადი ჯარიმის ოდენობა კვლავ განისაზღვრება დარღვევის სერიოზულობის ან/და კომერციული ბანკის აქტივებისთვის მიყენებული ზარალის ან/და შესაძლო საფრთხიდან გამომდინარე და ყოველი შემთხვევა ინდივიდუალური შესწავლის საგანია.


- ცვლილებები შევიდა კომერციული ბანკებისთვის და მიკრობანკებისთვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციებში. აღნიშნული ინსტრუქციების მიზნებისთვის ახლებური მოწესრიგებით განიმარტა კრედიტის მნიშვნელობა. ამასთან, ცვლილებით დაზუსტდა, რომ თუ კრედიტის თანხა არ აღემატება 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, უძრავი ქონების ინსპექტირება შესაძლებელია განხორციელდეს კომერციული ბანკის/მიკრობანკის უფლებამოსილი პირის, მათ შორის, შემფასებლის დამხმარის მიერ. ხოლო თუ კრედიტის თანხა აღემატება 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, უძრავი ქონების ინსპექტირება სავალდებულოა განხორციელდეს შესაბამისი უძრავი ქონების შეფასების მომზადებაზე პასუხისმგებელი შემფასებლის მიერ. ორივე შემთხვევაში, კრედიტის თანხაში გაითვალისწინება იმავე ბანკში ყველა იმ კრედიტის ჯამური ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილია შესაფასებელი უძრავი ქონებით. ასევე, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც კრედიტის თანხა აღემატება 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში და უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების პირველადი შეფასების ფარგლებში უძრავი ქონების ინსპექტირება არ განხორციელებულა უშუალოდ შემფასებლის მიერ, მითითებული ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში, სავალდებულოა განხორციელდეს შესაბამისი უძრავი ქონების გადაფასება და შემფასებლის მიერ უძრავი ქონების ინსპექტირება.

ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება და გამჭვირვალობის ზრდა

- 2025 წელს ეროვნული ბანკი აგრძელებდა თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას. თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკებისა და საფინანსო ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ კურსებს და სემინარებს დაესწრო ეროვნული ბანკის 239 თანამშრომელი.
- ეროვნული ბანკი მუდმივად ხელს უწყობს საფინანსო სექტორის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით, ლუქსემბურგის საფინანსო ტექნოლოგიების გადაცემის კვლევითი სააგენტოს ექსპერტებმა 2025 წელს თბილისში ჩაატარეს 2 ტრენინგი, ხოლო დისტანციურად - 1 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ეროვნული ბანკის, ასევე, კომერციული ბანკების თანამშრომლებმა. ჯამში სემინარებს დაესწრო 79 მონაწილე.
- ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების სისტემების დანერგვისა და განვითარების მიზნით 2025 წელს შემუშავდა საქართველოს ეროვნული ბანკის ადამიანური რესურსების მართვის (HR) 2026-2029 წლების სტრატეგიის დოკუმენტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ორგანიზაციულ განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მოტივაციასა და

ალიარების სისტემების, სტრატეგიული სამუშაო ძალის შენარჩუნებასა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების დანერგვა და განვითარება.

- ზედამხედველობის პროცესში გამოვლენილ გამოწვევებზე საპასუხოდ განხილვების პროცესებში ყველა პასუხისმგებელი მიმართულების მაქსიმალური ჩართულობა და ოთხი თვალის პრინციპი ეროვნული ბანკის საქმიანობის არსებითი შემადგენელი ნაწილია. ზედამხედველობის პროცესში წახალისებულია გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება.
- 2023-2025 წლების საზედამხედველო სტრატეგიის შემუშავების პროცესში ეროვნულმა ბანკმა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა და კონსულტაციები უფრო აქტიურად წარმართა. კერძოდ, გამოქვეყნებული კითხვარის, სტრატეგიის სამუშაო ვერსიისა და სექტორთან კომუნიკაციის სხვა არხების მეშვეობით, დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ საზედამხედველო პრიორიტეტებისა და სტრატეგიული მიმართულებების ფორმირების პროცესში. აღნიშნული პრაქტიკის გამოყენება მომავალშიც გაგრძელდება მომდევნო საზედამხედველო სტრატეგიის შემუშავებისას.
- გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობისათვის, გასული წლების მსგავსად, 2023-2025 წლების განმავლობაში საჯარო კონსულტაციების გამართვის მიზნით, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული არაერთი ცვლილებისა თუ რეგულაციის პროექტი გამოქვეყნდა, რომლებზეც ფართო საზოგადოებას შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაზიარების შესაძლებლობა მიეცა. ყველა მნიშვნელოვანი პროექტი საჯარო ან სექტორთან კონსულტაციების ფარგლებში იქნა განხილული [„სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციების გამართვის სახელმძღვანელოს“](#) მიხედვით.
- ბიზნესუწყვეტობის რისკის შემცირების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და საოპერაციო რისკების მართვის, აგრეთვე, ინსტიტუციონალური მეხსიერების შენარჩუნებისა და ინფორმაციული ბაზის სისტემატიზების ხელშეწყობის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა შიდა პროცედურა და ამსათანავე გააძლიერა შესაბამისი პრაქტიკა.



გამოყენებული ტერმინები და აბრევიატურები

ESC (Environmental, Social, Governance) - მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში გარემოს-
დაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები.

XBRL (Extensible Business Reporting Language) - ბიზნეს ანგარიშგების გაფართოებადი ენა, რომელიც
წარმოადგენს საზედამხედველო ანგარიშგებების მიმოცვლის საერთაშორისო სტანდარტს.

**დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის
(MREL - Minimum Requirements for own funds and Eligible Liabilities)** - საზედამხედველო კაპიტალისა
და მთლიანი ვალდებულებების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც უნესდებათ კომერციულ ბანკებს,
რათა რეზოლუციის რეჟიმის ამოქმედების შემთხვევაში ეფექტურად მოხდეს ბანკის რეკაპიტალიზაცია.

მაკროპრუდენციული პოლიტიკა - სისტემური რისკების დაგროვების თავიდან აცილების, კრი-
ზისის აღბათობის შემცირებისა და მთლიანი ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელ-
შეწყობისთვის შემუშავებული პოლიტიკა და შესაბამისი ღონისძიებები.

რეგულირების ლაბორატორია (სენდბოქსი) - ინოვაციური ფინანსური სერვისის ან/და პროდუქტის
სატესტო გარემოში გამოსაცდელად შექმნილი პირობებისა და პროცედურის ერთობლიობა.

რეზოლუცია - კომერციული ბანკისათვის ლიკენზიის გაუქმების საფუძვლების დადგომის შემთხვევაში,
ლიკვიდაციის ალტერნატივა, რაც გულისხმობს რეგულატორის მიერ კომერციული ბანკის იმგვარად
რესტრუქტურირებას, რომ საფრთხე არ შეექმნას ფინანსურ სტაბილურობას.

რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობა/პრინციპები - ზედამხედველობის რეჟიმი/პრინციპები,
რომელიც გულისხმობს მეტი საზედამხედველო რესურსის მიმართვას მეტად კომპლექსური ან/და
რისკიანი ინსტიტუტებისა თუ ტრანზაქციების მიმართულებით.

რისკის ანალიტიკური ცხრილები (dashboards) - საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გრა-
ფიკული გამოსახულება, რომელიც ამარტივებს კომპლექსური მონაცემების აღქმას და საშუალებას
აძლევს მის მომხმარებელს მარტივად მიიღონ ინფორმაცია ბიზნეს საქმიანობების ან კონკრეტული
პროცესების შესახებ.

რისკის პოზიციები - საბალანსო ან გარესაბალანსო ელემენტები, რომელზეც ფინანსურ ინსტიტუტს
აქვს მოთხოვნა.

საზედამხედველო კაპიტალი - კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება ფინანსური ინსტიტუტებისათვის
ზედამხედველის მოთხოვნით და ემსახურება პოტენციური ზარალების განეიტრალებას.

სუპტექ (suptech) ინსტრუმენტები - საზედამხედველო ტექნოლოგიები, რომელიც გულისხმობს
ზედამხედველობის პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებას საზედამხედველო ორგანოების
მიერ.

IFRS – International Financial Reporting Standards - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტები (ფასს).

ფინანსური ინოვაციების ოფისი - ეროვნულ ბანკს და ფინტექ სტარტაპებსა და ფინანსური სექტორით
დაინტერესებულ ტექნოლოგიურ კომპანიებს შორის კომუნიკაციის საშუალება, რომლის მიზანია სა-
ზედამხედველო თემატიკის კითხვებზე პირდაპირი უკუკავშირის მიღება-გაცემა, ფინანსურ სექტორში
პასუხისმგებლიანი ინოვაციების ხელშეწყობა და ფინტექ ორგანიზაციების/სტარტაპების დახმარება
ეროვნული ბანკის რეგულაციებისა და საზედამხედველო მიდგომის გაცნობიერებაში.

ღია რეგულირების პრინციპები - რეგულირების მოთხოვნების ცვლილების განხილვა, ინდუსტრი-
ასთან დიალოგზე ღიაობა, რომელიც თავსებადია ეროვნული ბანკის განცხადებულ რისკის აპატიტა და
საზედამხედველო პრინციპებთან.

EBRD (European Bank for Reconstruction and Development) - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

API (Application Programming Interface) - აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი.

ISIN (ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი) - ეროვნული ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის სტრუქტურაც და შინაარსიც ეფუძნება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ დადგენილ მოთხოვნებს და რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ ემიტენტის ერთსა და იმავე კლასისა და ნიშან-თვისებების მატარებელი ფასიანი ქაღალდის უნიკალური იდენტიფიცირების საშუალებას.

IOSCO (International Organization of Securities Commissions) - ფასიანი ქაღალდების კომისიათა საერთაშორისო ორგანიზაცია.

REIT (Real Estate Investment Fund) - უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდი.

